# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 24 ოქტომბერი 2003 №202 (1973) ფასი 50 თეთრი


## სარჩობელაზედ

## უფალო, შეგვიწყალე! დღეს აფრიკაა



სამხრეთ აფრიკის ჯერიც დადგა. ახლა „ქურციკები" დასცემენ მანამდე ორ მარცხნაჭამ ბორჯღალოსნებს და სანუგეშოდ ურუგვაისთან სამშაბათის მატჩს დაუტოვებენ. დღეს რომ აფრიკელები იმარჯვებენ, ეჭვიც არავის ეპარება, მიუხედავად იმისა, რომ „ქურციკთა" მწყემსმა რუდი სტრაულიმ ინგლისთან დაცემულთაგან დამწყებ გუნდში ორადორი მოთამაშე ბაკიზ ბოთა და ჯო ფან ნიკერკი დააყენა. ბორჯღალოსნები ორივეს გაიხსენებენ ორი წლის წინანდელი თბილისური მატჩიდან. მაშინ აფრიკელები „ა" ანუ მეორე ნაკრებით გვესტუმრნენ და 31:17 დაამარცხეს ქართველები.

სტრაულის დარად მისმა ოპონენტმა კოლეგამ კლოდ სორელმაც დაასვენა ძირითადები, ასე რომ, დღევანდელი მატჩი ორივე ნაკრებისთვის ექსპერიმენტია. სხვაობა ისაა, რომ აფრიკელებს ეს ექსპერიმენტი ნაღდად არაფერს ავნებს. ქართველებს კი, ვინ იცის...

იხილეთ მეცამეტე გვერდი




## საბას იგავი მორჩა. ახლა სტეფანიას ჯერია

ნერვების თამაში დამთავრდა და ოთხთვიანი საკონტრაქტო ციებ-ცხელებაც უკან დარჩა. „მაიამი ჰითიდან" წამოსულმა ვლადიმერ სტეფანიამ ბევრი ხეტიალის შემდეგ — რამდენიმე დღე ის ფიქტიურად ხორვატიული „სპლიტის" საკუთრებაც კი გახლდათ — იპოვა სასურველი კლუბი — სახელოვანი და მდიდარი „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი". მდიდარი ვთქვით, თუმც სტეფანიას, როგორც ზედ სეზონის დაწყების წინ, ანუ ბოლოს მისულს, ოდენ ორ წელიწადში ასაღები 2,2 მილიონი დოლარი დარჩა. თავიდან მეტსაც ჰპირდებოდნენ, მაგრამ ბოლოს ესლა მომცესო — გვეუბნება სტეფანია, რომელიც უკვე ნამდვილი პორტლენდელია და მალე ალბათ სავამოფენო მატჩშიც ითამაშებს. სტეფანიას ნომრის არჩევაც მოუსწრია. ის გულზე და ზურგზე „ბლეიზერსიდან" ახლა უკვე საბოლოოდ წასული დიდი ლიტველი ცენტრის არვიდას საბონისის 11-ს დაიწერს.

ინტერვიუ ვლადიმერ სტეფანიასთან იხილეთ მეთოთხმეტე გვერდზე



## შუშაკმა და კამპუშმა მრთმანეთს გოლი ჩამოართვეს





## სტოპმიოლერი საქართველოსთვის



საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს საარჩევნო ციებ-ცხელება შეპყრია, საქართველოს ეროვნული გუნდი კი კვლავაც უმთავარმწვრთნელოდაა. ამასობაში დროებით უმუშევარ სახელიან ევროპელ მწვრთნელთა რიცხვი მცირდება და იმის მოლოდინი, რომ ნაკრები მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპს უცხოელი, მცოდნე მწვრთნელით დაიწყებს, საეჭვო ამბად რჩება.

გუშინ გერმანული „ჰამბურგი" კლაუს ტოპმიოლერს ჩააბარეს, გუშინწინ მილანური „ინტერი" ალბერტო ძაკერონის.

არადა, ორივეს გვარ-სახელი, ვერ დავიჩემებთ, მაგრამ თითქოს იმ საიდუმლო დავთარში ეწერა, რომელიც მერაბ ჟორდანიას სამუშაო მაგიდის უჯრაში განისვენებს და რომელშიც ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატები არიან ჩამოწიკწიკებული.

არიან რო?

ემანდ, ისე არ გამოვიდეს, ისევ შინაური მღვდელი შეგვრჩეს ხელთ.

საქართველოს უმაღლესი პირველი 15 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი

# 13 ტური

# ერთი მწვრთნელის თეატრი



ქუთაისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ტორპედო. 2 000 (ტევადობა 19 600)

## ტორპედო 1:1 დინამო

0:1 ამისულაშვილი (9), 1:1 მუშკუდიანი (89)

*ხვადაგიანმა ვერ გაიტანა პენალტი (57, მეკარე)*

**ტორპედო:** სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი, ს. თოდუა, ბაბუნაშვილი, კვეტენაძე (ლალაძე 84), გ. ჩხეტიანი (მუშკუდიანი 86), ნერგაძე, გამეზარდაშვილი (ზ. ქუთათელაძე 46), ახალკაცი, პოროშინი
*სათადარიგონი:* გ. სომხიშვილი; გოგოლაძე, ლ. ჭილაძე, ჩოგოვაძე
**მწვრთნელი:** ჟოაო კამპუში

**დინამო:** გვარამაძე, ახალაია (ი. სამხარაძე 80), წერეთელი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე (კანდელაკი 61), გოგობერიშვილი, კვირკველია, ბურდული, დარასელია, ალექსიძე (იაშვილი 71)
*სათადარიგონი:* ზოიძე, მელქაძე
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** კვირკველია (43), ნერგაძე (45), შაშიაშვილი (57), ბაბუნაშვილი (67), ახალაია (67)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ა. ორდინიძე (ონი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე; **დირექტორი:** გ. ძამუკაშვილი

დარტყმა: 17-24; კუთხური: 4-3; კარისკენ დარტყმა: 6-6; კარში დარტყმა: 2-4; თამაშგარე: 1-7

## ყველაზე ცუდი ქართული ჩვევა ბრაზილიელისთვის
# არ გააგოროთ ბურთი უკან!

**კახა შალამბერიძე** ქუთაისიდან

### მატჩამდე

საარჩევნო ციებ-ცხელებამ ქუთაისსაც დარია ხელი. ათასგვარი ლოზუნგებით თუ პოლიტიკოსთა პლაკატებით აჭრელებული ქალაქი მოსახლეობას 2 ნოემბერს ხმის მისაცემად საარჩევნო ყუთებთან უხმობს...

უცნაურია — ადრე ყველაფერი სხვაგვარად იყო. ქუთაისში თბილისის „დინამოს" ჩასვლას სხვა აჟიოტაჟი და ინტერესი ახლდა. ეს დრო ქუთათურებს სანატრელი გაუხდათ. ზედიზედ ოთხი მატჩის წამგებმა „ტორპედომ" მშობლიური სტადიონიდან მაყურებელი გააქრო.

გუშინდელი თამაშის დაწყებამდე ქუთაისური სარბიელისკენ ქომაგი კანტი-კუნტად მიიწევდა. ქუჩაში აქა-იქ მართლა მოჰკრავდით ყურს „ტორპედო" — „დინამოს" მოახლოებულ მატჩზე მსჯელობას, მაგრამ როგორც ზემოთ გითხარით, ეს ადრინდელთან შედარებით ზღვაში წვეთიც კი არ იყო...

თამაშს მზიანი დარი დაემთხვა. „დინამო" კარგი განწყობით ესტუმრა ქუთაისს. „ტორპედო" კი პირიქით — ანტირეკორდებით „დახუნძლული" რიონისპირელები უფსკრულს დიდად ვერ შორდებოდნენ. ერთი სიტყვით, როგორც ყოველთვის, „კაი ჯახის" მოლოდინი მაინც იგრძნობოდა.

ზემოთ დაწყებულ თემას გავაგრძელებ — გუნდები სავარჯიშოდ მოედანზე გავიდნენ. ეს-ესაა შეხვედრა დაიწყება. „ტორპედო" — „დინამო" კი ქართული საზომით პატარა რამ არ გახლავთ. ჩემს გვერდით მჯდომმა ჭარმაგმა კაცმა აქეთ-იქით მიიხედა და... ეეჰ, შვილო, ამდენი ხალხი ადრე ვარჯიშების სანახავად დადიოდაო. დიახ, ქუთაისში მაყურებლის სიმცირემ გვარიანი ყურადღება მიიქცია. ერთმა გულშემატკივარმა რეკლამად ვერც ბრაზილიელი მწვრთნელების გამოჩენა ჩათვალა — მერე რა, რომ ახალი მწვრთნელი გვყავს, ბოლო-ბოლო ბრაზილიელია, კიო ხომ არ არის ამ გუნდს რომ უშველოსო...



ივო შუშაკი

### მატჩი

ჟოაო კამპუში კი მართლაც საინტერესო ვინმე აღმოჩნდა. აშკარად იგრძნობა, ამ კაცს ფეხბურთი ესმის. თუმც ამაზე ქვემოთ...

მატჩი კი ისე დაიწყო, ბევრი გოლების წვიმას ელოდა. პირველ ხუთ წუთში გუნდებს სამჯერ შეეძლოთ გოლის გატანა. მე-2 წუთზე ზვიად სტურუამ აუღო ლადო ახალაიას ურთულესი ბურთი, რამდენიმე წამში კი რატი ალექსიძეს გაუცუდდა მიზანი.

„ტორპედომ" თოდუა-ახალკაცი-ნერგაძის სამსვლიანი სწრაფი კომბინაციით უპასუხა, თუმც გოლი არც ამ შეტევას მოჰყოლია.

სტადიონი კი მე-9 წუთზე დადუმდა. დარასელიას კუთხურს ამისულაშვილმა შეურჩია ზუსტად ადგილი და ახლოდან გატანა არ გასჭირვებია — 0:1.

მასპინძლებმა მეტოქეს ვერაფერი შესთავაზეს. „ტორპედო" ბურთის დაჭერას ცდილობდა, მაგრამ „დინამო" თავს კარგად იცავდა და ხიფათიც არსაიდან ჩანდა. თბილისელებმა „ტორპედოს" მოედნის ცენტრიც დაუთმეს და კონტრშეტევებზე ჩაუსაფრდნენ. სანამ მოედანზე ასეთი ჯაჯგური იყო, სარბენ ბილიკებზე ერთი მსახიობის თეატრის სპექტაკლის ნახვაც შეგვეძლო. ჟოაო კამპუშის მსახიობური ნიჭი ჩვენთვის აღმოჩენა იყო. უნდა გენახათ, რა ხერხით თუ მეთოდით ცდილობდა ბრაზილიელი შეგირდებისთვის მითითებების მიცემას. უშედეგოდ. ენობრივი ბარიერი გადაულახავი გამოდგა. გულშემატკივარი კი ოხუნჯობდა — მგონი, ეს კაცი უფრო მალე ისწავლის ქართულს, ვიდრე გუნდი თამაშსო.



„ტორპედო" — „დინამო" უჩხუბრად, აბა, როგორ ჩაივლიდა

ჟოაო კამპუში მთელი პირველი ტაიმი სკამზე არ დამჯდარა, თუმც „დინამოს" შესვენებაზე მშვიდად გასვლა არ გასჭირვებია. თამაში თბილისელთა კარნახით მიდიოდა.

მეორე ნახევარი გაცილებით საინტერესო გამოდგა. „ტორპედომ" ტემპს უმატა, მაგრამ საწყისი წუთები მაინც უხიფათო გამოდგა. ფეხბურთელებს საჯარიმოსთან მიახლოვება უჭირდათ და ხშირად უკან აბრუნებდნენ ბურთს, რაც ცხადია, შეტევას სიმწვავეს აკლებდა. ეს კი ჟოაო კამპუშს აცოფებდა. ბრაზილიელი ვერ ხვდებოდა, რატომ იყურებოდნენ მისი შეგირდები წამდაუწუმ უკან.

შანსი კი „ტორპედოს" ციდან ჩამოუვარდა — საჯარიმოში მოულოდნელად შეჭრილმა ნერგაძემ შაშიაშვილის ფეხი „მოძებნა" და... სერგო კვარაცხელიამ ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. აღშფოთებულმა დინამოელებმა მსაჯი ალყაში მოიქციეს, თუმც გადაწყვეტილებას, აბა, ვინ შეცვლიდა.

პენალტის დარტყმა „ტორპედოს" კაპიტანმა ვახტანგ ხვადაგიანმა იკისრა, მაგრამ დავით გვარამაძის ჩინებულმა თამაშმა „დინამო" იხსნა. ამის შემდეგ ვინ იფიქრებდა „დინამოს" ვერმოგებას?! ასეც იქნებოდა, შეცვლაზე შესულ სანდრო იაშვილს ასპროცენტიანი შანსი რომ არ გაეცუდებინა — მეკარესთან პირისპირ გასულ ახალგაზრდა თავდამსხმელს დრო და სივრცე თავზესაყრელად ჰქონდა, მაგრამ სტურუას მაინც ვერ აჯობა.

მანამდე კი მოედანზე გუნდური გაწევ-გამოწევაც იყო. ფეხბურთელებმა ნერვები ვერ მოთოკეს და ერთმანეთისკენ გაიქაჩნენ. საბოლოოდ, სიტუაცია ბაბუნაშვილი-ახალაიას გაფრთხილებით განიმუხტა.

შეცვლამ კი ჟოაო კამპუშს გაუმართლა — ზურაბ მუშკუდიანმა 89-ე წუთზე ვარდნაში ისეთი მაკრატელა შეაგდო, რომ... ულამაზესი გოლით ნასიამოვნები ბრაზილიელი პატარა ბავშვივით აცუნდრუკდა, ლამის მთელი სტადიონი ხელებაღმართულმა შემოირბინა.

ფინალი წინ იყო: იმავე მუშკუდიანმა ბოლო წამებზე მეორეც გაიტანა, ოღონდ მსაჯის სასტვენის შემდეგ. კვარაცხელიამ ხელით თამაში დააფიქსირა. ტორპედოელთა ხანგრძლივი პროტესტიც უნაყოფო იყო. საბოლოოდ ფრე — 1:1.

### მატჩის შემდეგ

„დინამოს" თავკაცმა *ივო შუშაკმა* ორივე გუნდის ფეხბურთელებს მადლობა გადაუხადა კარგი ფეხბურთისთვის. კარგი იყო, რომ გოლი ადრევე გავიტანეთ, მოგებაც შეგვეძლო, იაშვილს ასპროცენტიანი მომენტი რომ გამოეყენებინა, მაგრამ სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ახალი მწვრთნელით მოტივაციაშემატებულმა „ტორპედომ" შეცდომა არ გვაპატიაო — თქვა ხორვატმა.

*ჟოაო კამპუში* კი შედეგით კმაყოფილი დარჩა. მან შეგირდებს მადლობა უთხრა და ისიც აღნიშნა, სამუშაო იმდენია, თვლა აგერევაო.

**ბადრი ძეთილაძის** *ფოტოები*



გიორგი ნერგაძის საპენალტო წაქცევა

## სლოვენია

თასის 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

**პუბლიკუმი 5:4 მარიბორი**




ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

დავით სირაძის საგოლე დარტყმა

თბილისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ლოკომოტივი. 500 (ტევადობა 26 900).

## ლოკომოტივი 4:0 მცხეთა

1:0 სალუქვაძე (12), 2:0 ნანა (20), 3:0 სირაძე (67), 4:0 სოხელია (89)

**ლოკომოტივი:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ყაშაკიძე, ლ. სალუქვაძე, ორბელაძე (სოხელია 77), ზამთარაძე, სიჭინავა, ქოქიაშვილი (კობახიძე 61), ნანა, უგრეხელიძე (მანჯავა 71), სირაძე
*სათადარიგონი:* ხაზირაშვილი; ძამსაშვილი, გ. ონიანი, რ. ონიანი
**მწვრთნელი:** რევაზ არველაძე

**მცხეთა:** ცინაძე, რაქვიაშვილი (ბ. ნოზაძე 61), ძაგნიძე, გ. ქებაძე, კირვალიძე, ავალიანი, თირქია (ხიდაშელი 71), ჩაჩუა, ლ. ქებაძე, ლ. ჩხაიძე, ჩილვინაძე (გვენცაძე 27)
*სათადარიგონი:* თ. ოდიკაძე; მუშუქია, პარამონოვი, ჯაფარიძე
**მწვრთნელი:** ვლადიმერ გუცაევი

**გაფრთხილება:** გ. ქებაძე (69), მანჯავა (81)

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ქელიძე; **დირექტორი:** შ. ბაქრაძე

ჯარიმა: 16-14; კუთხური: 6-3; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 8-3; თამაშგარე: 6-3

# რკინიგზა გიმღერის ნანასა

კობა ინასარიძე

**მცხეთური** ალმასვლა შეწყდა — ორ მატჩში რვა გაშვებული და ერთი გატანილი, აი, ეს გუნდის შედეგი, რომელმაც წინა თვეში მეტოქე არ გაახარა და ლიდერთა ზედიზედ ძლევით გუნდ-სენსაციადაც მოინათლა.

ამჯერად „მცხეთას“ „ლოკომოტივმა“ სძლია. რკინიგზელებმა აგვისტოში განცდილი მოულოდნელი მარცხისთვის ღირსეული რევანში აიღეს.

მცხეთელთა განადგურება მატჩის დასაწყისშივე, მე-12 წუთზე სალუქვაძემ დაიწყო. სტუმართა მეკარე ორჯერ შეცდა და მეტოქემაც დასაჯა. ჯერ იყო და, ცინაძემ უვნებელ სიტუაციაში ბურთი კუთხურზე გადააგდო, ხოლო იქიდან ქოქიაშვილის ჩაწოდებულს ზუსტად ვერ დახვდა, რითაც სალუქვაძემ ისარგებლა და გასატანი გაიტანა.

ორიოდ წუთში „ლოკომოტივს“ კიდევ შეექმნა მომენტი, თუმც გოლი რვა წუთით გადაიდო: მარჯვენა ფლანგიდან ზამთარაძის ჩაწოდებულ ბურთს თბილისში ახლახან დაბრუნებულმა ნანამ დაჰკრა თავი და ანგარიში გააორა. რვა წუთიც გავიდა და ნანამ გრძელი, გონივრული პასით სირაძე შეატოვა ცინაძეს პირისპირ, მაგრამ მასპინძელმა ნამეტანი ლამაზი გოლის გატანა მოინდომა და მომენტიც გააცუდა.

„მცხეთა“ ამის მერეღა ათამაშდა. ვლადიმერ გუცაევი სათადარიგოთა სკამზე არ იყო და, ეტყობა, გუნდის თამაშზე მწვრთნელის მოშორებით ყოფნამაც იმოქმედა. მოკლედ, სტუმრებმა რომ ბრჭყალები გამოაჩინეს, მასპინძლებს საქმე მოთავებული ჰქონდათ, თუმც რამდენჯერმე კი ანერვიულდნენ. ზედიზედ ორი ნაღდი საგოლე მომენტი ქარს გაატანა დაშავებული ჩილვინაძის შემცვლელმა გვენცაძემ. ჯერ ჩხაიძის უზუსტესი პასი გოლად ვერ „გარდასახა“, ახლოდან შეუჩერებლად დაარტყა და ააცილა, მერე კი თავად შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში, გრიშიკაშვილს თვალი გაუსწორა, დაარტყა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა.

მეორე ტაიმი ახალდაწყებული იყო, როცა სირაძე მეორედ დარჩა ცინაძესთან პირისპირ და რეალური მომენტი ისევ გააცუდა. თუმც სირაძემ თავისას მაინც მიაღწია, 20 წუთში, როგორც იქნა, მიზანი გაისწორა. სირაძე კობახიძეს გაეხსნა, პარტნიორმა პასიც არ დაუგვიანა და მესამე ცდით გაიტანა — 3:0.

„მცხეთა“ საბოლოოდ გატყდა და მატჩის დარჩენილ დროს აზრიც დაეკარგა. წერტილი კი შეცვლაზე შესულმა სოსელიამ თამაშის დამთავრებამდე წუთით ადრე დასვა, როცა მცველებმა მეტოქეს ბურთი ვერაფრით დაატოვებინეს, გათავისუფლებულმა მასპინძელმა კი ლონივრად მოიქნია...

ამ შეხვედრის შემდეგ „მცხეთა“ ექვსეულს ერთაბაშად ორი საფეხურით დაშორდა და ადგილი „თბილისს“ დაუთმო.



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

„ლოკომოტივში“ მობრუნების მერე ნანამ პირველი გოლი თავით გაიტანა

ოზურგეთი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. ცენტრალური. 1 000 (ტევადობა 8 000)

## მერცხალი 0:1 სიონი

0:1 გონჩაროვი (56)

**მერცხალი:** გია გოგუა, კვირკვია (ჯაბუა 71), გ. ილურიძე, მჟავანაძე, ჭალიაშვილი, გ. წივწივაძე, ბართია, ჭინჭარაული, სიამაშვილი (ასკურავა 66), კალანდაძე (კობაური 61), გაბედავა
*სათადარიგონი:* როხაძე; დ. მარგალიტაძე
**მწვრთნელი:** აკაკი ათუაშვილი

**სიონი:** ვოლკოვი, ხუჯაძე, ჭიჭველიშვილი, ბაქრაძე, ფანჩულიძე, გურუა, ისიანი (გ. შენგელია 58), გაბიდაური, კოშკაძე, გაბისკირია (კვეკვესკირი 88), გონჩაროვი (დარსანია 90)
*სათადარიგო:* ა. ლაბაძე
**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია

**გაფრთხილება:** კვირკვია (49)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. მეშკოვი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. სორდია; **დირექტორი:** ვ. კოპალეიშვილი

ჯარიმა: 20-7; კუთხური: 1-8; კარისკენ დარტყმა: 2-8; კარში დარტყმა: 1-1; თამაშგარე: 1-1

# ახალი ქართული ანდაზა: ვინც გინება აიტანა, იმან გოლი გაიტანა

გოჩა ჯანაშია ოზურგეთიდან

**სერგო გაბელაიას** ოზურგეთიდან წასვლის შემდეგ „მერცხალი“ უმთავარმწვრთნელოდ დაუხვდა ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს და მორიგი მარცხიც იწვნია. მარცხსაც გააჩნია, თითქმის ყველა საშინაო შეხვედრაში გურულებს ბრძოლისუნარიანობა და მონდომება არასდროს ჰკლებიათ, გუშინდელ მატჩზე კი ამას ვერ ვიტყვით. თამაშის ხარისხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამბობენ, თემურ მახარაძე ჩაუდგება გუნდს სათავეშიო, მანამდე კი ბოლნისელთა წინააღმდეგ აკაკი ათუაშვილმა და ბახვა გიორგაძემ გაიყვანეს „მერცხალი“. ოზურგეთელებს აშკარად ეტყობოდათ, უვარჯიშებელნი რომ იყვნენ და არანაირი ტაქტიკური სქემის განხორციელების ძალა არ შესწევდათ.

ამიტომაც იყო, მასპინძლებს თითქმის მთელი შეხვედრა ქაოტურად და უჯიგროდ რომ უტევდნენ.

მატჩი სტუმართა თვალსაჩინო უპირატესობით დაიწყო და კაცი იფიქრებდა, თამაშის ბედი მალევე გადაწყდებაო. თუმც ასე არ მოხდა. რამდენიმე შორეული დარტყმის შემდეგ „სიონი“ მოეშვა და ინიციატივა მეტოქეს გადაულოცა თუმც დროებით.

სტუმართაგან იური გაბისკირია გამოირჩეოდა. მან ტრადიციულად ბევრი იშრომა, მუდამ მოძრაობაში იყო და კარში იმდენი ურტყა, ბარე სამ თამაშს ეყოფოდა. მაგრამ ოზურგეთელმა მეკარემაც თავი გამოიდო.

სამაგიეროდ, მან ვერაფერი გააწყო 56-ე წუთზე, როცა გაბიდაურის შორეულ პასს საჯარიმოში გონჩაროვი გამოეხმაურა და შორეულ კუთხეში ძელის გავლით გაიტანა ბურთი. აქვე ვთქვათ, რომ პირველ ტაიმში „სიონის“ ფორვარდმა მაყურებელთან კონფლიქტის პროვოცირება მოახერხა და ფეხბურთის თამაშზე უფრო თვალყური დასავლეთ ტრიბუნისკენ ეჭირა. თუმცა გაბელიასგან შესვენებაზე დაცაცხანებულმა მაინც თავისი გაიტანა და, როგორც შემდგომ გაირკვა, გამარჯვებისა.

„მერცხალი“ თამაშის გადასარჩენად რას არ ეცადა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. ფაქტობრივად, ერთი ხეირიანი საგოლე მომენტიც არ შექმნილა ვოლკოვის კართან, მაშინ, როცა იმავე გაბისკირიამ ზედიზედ ორჯერ დაბომბა გოგუას კარი. პირველად ოზურგეთელთა კარის დარაჯმა მოიგერია ბურთი, მეორედ კი, ძელიც დაიხმარა.

აქტიურად ჩაერთო თამაშში გიორგი შენგელია, რომელსაც სხვებზე მეტად შერჩენოდა ჯანი. მან ორჯერ ჩინებული დრიბლინგით აწიოკა მასპინძელთა უკანა ხაზი, მაგრამ ორჯერვე საბოლოო დარტყმა გააცუდა. აღელვებული ოთარ გაბელია მაშინ დაწყნარდა, როცა მსხმა თამაში დაასრულა.



ზურაბ დოლენჯაშვილის ფოტო

„მერცხალმა“ სერგო გაბელაიას გარეშე ითამაშა

თბილისი. 23 ოქტომბერი. 16 საათი. შევარდენი. 150 (ტევადობა 3 000)

## თბილისი 8:0 სპარტაკი

1:0 მიკუჩაძე (20), 2:0 მესხი (24), 3:0, 4:0 დავითაშვილი (50, 55), 5:0 მიკუჩაძე (60), 6:0 გუნაძე (74), 7:0, 8:0 დავითაშვილი (85, 89)

**თბილისი:** ნაჭყეპია (ივარდავა 67), ელიავა, სიდამონიძე, კვარაცხელია, გ. ნოდ. ჭელიძე (გუნაძე 58), ლოლაძე, მესხი, გოგიტა გოგუა (დ. ოდიკაძე 54), მიკუჩაძე, აფციაური, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ხარებავა, მეშარნიშვილი, დათვაძე, ნადირაშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**სპარტაკი:** შეყრილაძე, დონდოლაძე, ჟვანია, ჩიკვილაძე (იმნაიშვილი 46), ებრალიძე (კოტრიკაძე 42), გ. თოდუა, ალადაშვილი, ბოლქვაძე, გ. დოლიძე (ფირცხალავა 63), ტატანაშვილი, კვერენჩხილაძე
*სათადარიგონი:* მამალაძე, წურწუმია, მგელაძე
**მწვრთნელი:** ვასილ ქეიშვილი

**გაფრთხილება:** ბოლქვაძე (34)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო; **დირექტორი:** გ. ცაავა

ჯარიმა: 13-12; კუთხური: 4-4; კარისკენ დარტყმა: 3-4; კარში დარტყმა: 15-4; თამაშგარე: 2-4

# სულიკომ თბილისობა გუშინ მოიწყო

**ვაჟა ხუციშვილი**

„**შევარდენი**" სეზონში უკვე მეორე ცოდვის მოწმე გახდა. პირველ ტურში ამ სტადიონზე „ვიტ ჯორჯიამ" „მცხეთას" 7:0 მოუგო.

გუშინ მოედანზე ერთი გუნდი ნახევარი ძალით თამაშობდა, მეორე კი შეჰყურებდა. შედეგად საამსეზონო რეკორდი გამოცხვა. „დინამო" — „მერცხალის" 8:1 დაემხო.

ანგარიშის გახსნამდე რამდენიმე წუთით ადრე სპარტაკელი კვერენჩხილაძე ნაჭყეპიასთან პირისპირ გავიდა. ფორვარდს ხელს არავინ უშლიდა, მაგრამ მაინც მეკარეს დაუმიზნა და ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა. „შევარდენზე" შეკრებილმა მცირეოდენმა მაყურებელმა ალბათ იფიქრა, აქ ორმხრივ ბრძოლას და კარგ ფეხბურთს ვნახავთო. საბოლოოდ, შინ წასულ გულშემატკივრებს, მგონი, გოლების სათვალავი აერიათ.

საცოდაობა დოლიძის ხელით თამაშის შემდეგ დაიწყო. მან საჯარიმოს წინ ბურთი წესის დარღვევით შეაჩერა. კვარაცხელიამ მიკუჩაძეს დაუგორა და მისი დარტყმული მცველისგან ასხლეტით შეყრილაძისგან მარცხენა კუთხეში შევარდა. მიკუჩაძემ გასულ შაბათს მსგავსი „მერცხალსაც" გაუტანა და თან იმავ კარში.

„სპარტაკი" ამ გოლიდან აირია და, ფაქტობრივად, დადგა. მალე მესხმა შორიდან გაისროლა და მცველებით დაფარულმა შეყრილაძემ ბურთს თვალი კარში შეავლო.

შესვენების შემდეგ სტუმართა დაცვა დემოკრატიული და გამჭვირვალე გახდა. ნახევარი „თბილისი" „სპარტაკის" საჯარიმოში თავისუფლად დათარეშობდა. სულიკო დავითაშვილს გოლის გატანა ისე მოსწყურებოდა, რომ წინა ტურში „მერცხალთან" ხელმოცარულმა ერთბაშად ოთხი მიითვალა.

ახლა, ვისაც „შევარდენის" სტადიონის რეკორდის დამხობა სურს, 9:0-ს უნდა მიაღწიოს. ჩვენი ჩემპიონატის დონის უკუსვლას თუ გავითვალისწინებთ, ალბათ უარესსაც მალე მოვესწრებით.

საქმე რომ არა გქონდეთ რა, „შევარდენზე" შემოიარეთ, ეგებ რეკორდის თვითმხილველი გახდეთ.



სულიკო დავითაშვილი (№7) გუშინდელი ოთხი გოლით ჩემპიონატის მთავარმეგოლე გახდა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 4 | 1 | 24:7 | 28 |
| დინამო | 13 | 8 | 3 | 2 | 30:6 | 27 |
| სიონი | 13 | 7 | 5 | 1 | 16:7 | 26 |
| დილა | 13 | 7 | 2 | 4 | 17:11 | 23 |
| ლოკომოტივი | 12 | 5 | 3 | 4 | 18:14 | 18 |
| თბილისი | 12 | 5 | 2 | 5 | 22:15 | 17 |
| ბათუმი | 13 | 5 | 1 | 7 | 15:14 | 16 |
| მცხეთა | 13 | 5 | 1 | 7 | 15:28 | 16 |
| ტორპედო | 13 | 4 | 3 | 6 | 10:15 | 15 |
| კოლხეთი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:17 | 12 |
| სპარტაკი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:34 | 9 |
| მერცხალი | 13 | 2 | 2 | 9 | 12:27 | 8 |

| ბომბარდირები | | |
|---|---|---|
| 10 - | დავითაშვილი | თბილისი |
| 8 - | ახალაია | დინამო |
| 7 - | გოცირიძე | ვიტ ჯორჯია |
| | გონჩაროვი | სიონი |
| | კაკალაძე | ბათუმი |
| | ვ. გოჩაშვილი | ვიტ ჯორჯია |
| 5 - | ჩელიძე | დინამო |
| | ა. კაიდარაშვილი | დილა |
| | დარასელია | დინამო |
| 4 - | ძოძუაშვილი | დილა |
| | ჩილვინაძე | მცხეთა |
| | გაბედავა | მერცხალი |
| | გაბისკირია | სიონი |
| | სირაძე | ლოკომოტივი |

# შოთას კოჭი ნევილმა გაუშგორა

*„რეინჯერსისთვის" უიღბლოდ ნარიმართა გუშინწინდელი მატჩი „მანჩესტერთან". უიღბლო გამოდგა შეხვედრა ზურაბ ხიზანიშვილსა და შოთა არველაძესთვისაც — ორივემ ტრავმა მიიღო. შოთა არველაძეს გუშინ გლაზგოში შევეხმიანეთ*



მიკაელ სილვესტრი და შოთა არველაძე

— ძალიან რთული თამაში იყო. გოლის გატანა შეგვეძლო, მაგრამ არ გაგვიმართლა, არადა 5-6 კარგი მომენტი გვქონდა.

— **შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

— არამიშავდა, თუმც უკეთესადაც შემეძლო.

— **გამოკვეთილ ფორვარდად რომ გეთამაშა, მეტ სარგებლობას მოუტანდი გუნდს?**

— ის პოზიცია, სადაც „მანჩესტერთან" ვითამაშე, საჩემო არაა, მაგრამ ასეთი იყო მწვრთნელის დავალება. შეხვედრის მიწურულს ალექს მაკლიშმა ფორვარდად კი გადამწესა, მაგრამ უკვე კოჭი მქონდა ნატკენი და კარგად ველარ ვითამაშე.

— **ტრავმა რომელ ეპიზოდში მიიღე?**

— გარი ნევილმა ფეხში რომ ჩამარტყა, მარცხენა კოჭი მაშინ გადამიბრუნდა. არადა, ეს კოჭი შარშანწინაც ვიტკინე და ნახევარი წელი მოვუნდი მის მკურნალობას. ტკივილი ახლაც ძალიან მაწუხებს. „რეინჯერსის" ექიმმა მითხრა, სერიოზული არაფერიაო, მაგრამ რამდენიმე მატჩის გამოტოვება ნაღდად მომიწევს.

— **როგორ ფიქრობ, სტუმრად „მანჩესტერთან" რა თამაში იქნება?**

— ერთი მხრივ, სტუმრად თამაში უფრო რთულია, თუმც იქნებ მანჩესტერში მეტი სივრცე გვქონდეს და უკეთაც ვითამაშოთ. „აიბროქსზე" კი „მანჩესტერმა" გაგვიტანა ადრეული გოლი და უკან ჩაჯდა, თუმც მეორე ტაიმის ერთ მონაკვეთში ძალიან მძლავრად შემოგვიტია. ერთ სიტყვით, ჯგუფიდან გასვლის არცთუ ურიგო შანსი გვაქვს. იმასაც გააჩნია, ჩვენი მეტოქეები ერთმანეთში როგორ ითამაშებენ.

**დავით თავართქილაძე**

# ხურცილავა უეფაში გაუშვეს

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციამ დაამთავრა ქვეყნის ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ჩატარებული გამოკითხვა.

მოგეხსენებათ, უეფა გაისად დაარსების 50 წლისთავს აღნიშნავს და სწორედ ამასთან დაკავშირებით თავის წევრ ქვეყნებს სთხოვა საუკეთესო ფეხბურთელთა წარდგენა.

ფედერაციის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 865 ქომაგმა, რომელთა უმეტესობამაც ბოლო 50 წლის საუკეთესო ფეხბურთელად **მურთაზ ხურცილავა** დაასახელა. ათეულში კი მოხვდნენ:

2. ავთანდილ ღოღობერიძე
3. მიხეილ მესხი
4. დავით ყიფიანი
5. სლავა მეტრეველი
6. ალექსანდრე ჩივაძე
7. ვიტალი დარასელია
8. ვლადიმერ ბარქაია
9. შოთა იამანიძე
10. გივი ჩოხელი



საუკეთესო ფეხბურთელთა სია სფფ-ის აღმასკომს წარედგინა, რომელმაც საუკეთესოთა შორის საუკეთესოდ მურთაზ ხურცილავა დაასახელა და უეფას მისი დოსიეც აახლა.

**ყურადღება!**
ფკ ამერის საფეხბურთო სკოლაში დაიწყო 1990-1996 წლებში დაბადებული ბავშვების მიღება
ჩვენი მისამართია:
თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევთან), ოლიმპიური რეზერვების სკოლის ტერიტორიაზე
ტელეფონი: 39-00-98, 899 78-19-24, 893 25-14-66

**სამკურნალო გაერთიანება „ლიგა"**
დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე
სექსოპათოლოგიის კლინიკა
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

**ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21**

ვაქცინაციის ცენტრი
- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის" ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა"
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15



# ძვირადღირებული სიამოვნებისთვის
# ჟორდანია: კონტრაქტი–ოცნება
# თოფაძე: კონტრაქტი–ბუმი

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჟურნალისტების თვალწინ გაფორმდა ხელშეკრულება სფფ-ს და კომპანია „ყაზბეგს" შორის – ლუდის და ნაირგვარი უალკოჰოლო სასმელების ფირმა ორი წლით ფედერაციისა და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი იქნება*



**თუ რა თანხას** მიიღებს სფფ გენერალური სპონსორისგან, კონფიდენციალურია. კონტრაქტი ორწლიანია, თუმც თუ ჩვენი ეროვნული ნაკრები 2006 წლის მუნდიალზე ან პლეიოფში მაინც მოხვდება, ხელშეკრულება გაგრძელდება. რაც მთავარია, „ყაზბეგიდან" შემოსული თანხით შესაძლებელი გახდება ნაკრებისთვის ძვირადღირებული უცხოელი სპეციალისტისთვის შესაბამისი ანაზღაურების გაცემა.

კონტრაქტს ხელი მოაწერეს ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ და „ყაზბეგის" ვიცე-პრეზიდენტმა ნიკა ბახტაძემ. ამ კომპანიის საპატიო პრეზიდენტი გოგი თოფაძე პარლამენტარი გახლავთ და კანონით ასეთი დოკუმენტების ხელმოწერა ეკრძალება. თუმც ეს ოდენ ფორმალური მხარეა — ფედერაციის პარტნიორი ლუდის მაგნატი თოფაძე გახდა.

**მერაბ ჟორდანია:** თორმეტი წლის მანძილზე ეს იყო ჩვენი ოცნება, რომ ფედერაციისთვის ქართველ წარმატებულ ბიზნესმენებს მხარი დაეჭირათ. იყო შემოთავაზებები უცხოეთიდან, მაგრამ ჩვენ ეროვნული, ქართული პარტნიორი ვარჩიეთ. ეს არის იმის საწინდარი, რომ საქართველოში ფეხბურთის წინსვლა არ ბრკოლდება. ქართული ფეხბურთის ყველა გულშემატკივარს ვულოცავ ამ დღეს, ბატონ გოგი თოფაძეს კი ულრმეს მადლობას ვუხდი. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ნაკრებში უცხოელი მწვრთნელის მოწვევას — ჩვენი ფეხბურთის წარმატება „ყაზბეგის" წარმატებაც იქნება და პირიქით.

**გოგი თოფაძე:** მთელ მსოფლიოში ასეა — სპორტულ ფედერაციებს სპონსორები ინახავენ. დღეს საქართველოში სპორტს უჭირს, ფეხბურთს კი განსაკუთრებით. როცა ჩვენს „დინამოს" წარმატებების პერიოდი ჰქონდა, მაშინ გუნდს გვერდში ბევრი მეწარმე ედგა. ახლაც აუცილებელია, რომ ფეხბურთს დავეხმაროთ. საქართველოს ნაკრები გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა მოხვდეს და დარწმუნებული ვარ, „ყაზბეგი" ერთადერთი არ იქნება, ვინც ამ საქმეში ხელს შეუწყობს ეროვნულ გუნდს. ამ ეტაპზე ჩვენი ნაკრებისთვის უცხოელი მწვრთნელი აუცილებელია. ეს ძვირადღირებული სიამოვნებაა, მაგრამ სხვა გზა არ არის — ჩვენ უცხოელისგან უნდა ვისწავლოთ, ცოდნა ავითვისოთ. როცა წარმატებები იყო, ფეხბურთი ყოველთვის აერთიანებდა ჩვენს საზოგადოებას. ახლა ასეთი ბუმი ხელახლა უნდა დაიწყოს.

**დავით თავართქილაძე**

# გოგი თოფაძე: ჩუმად ვარ, არ ვხმაურობ

*პარლამენტარი, ბიზნესმენ-მეცენატი, საქართველოს ოლიმპიური კომიტეტი ვიცე-პრეზიდენტი, სპორტის ზამთრის სახეობათა ფედერაციის პრეზიდენტი — გოგი თოფაძის რეგალიებს გუშინ ერთიც შეემატა — მისი კომპანია „ყაზბეგი" ფეხბურთის ფედერაციის და ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორი გახდა.*

*მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, მრეწველობა გადაარჩენს ქართულ ფეხბურთს — ასეთი ლოზუნგი გუშინდელ ღონისძიებაზე არ ყოფილა, მაგრამ „მრეწველების" ლიდერი „სარბიელთან" ინტერვიუში პოლიტიკისგან განზე მაინც ვერ დარჩა*



**— კარგა ხანია, სპორტში მეცენატობას ეწევით, მაგრამ ფეხბურთში სერიოზული პროექტისგან აქამდე თავს იკავებდით — რატომ?**

— ფეხბურთში მოსული კაცი ნამდვილად არ ვარ. ნოდარ ახალკაცი ჩემი უახლოესი მეგობარი იყო და როცა „დინამოს" მწვრთნელი გახდა, იმ დღიდან გვერდით ვედექი. „დინამოს" იმდროინდელი წარმატებები იმანაც განაპირობა, რომ გუნდს ბევრი ადამიანი ეხმარებოდა, მათ შორის ნიკო ლეკიშვილიც. ფეხბურთი დიდი მეურნეობაა და საქმიანი ხალხის დახმარება აუცილებელია. დღეს ქართველი ფეხბურთელების ამ თაობას აქვს გერმანია 2006-ზე მოხვედრის შანსი და მათ მეწარმეთა მხარდაჭერა სჭირდებათ. იმედია, ამას ბევრი ბიზნესმენი მიხვდება.

**— ფედერაციასთან კონტრაქტის ხელმოწერა წინასაარჩევნო კამპანიის პიკს დაემთხვა...**

— ჩვენ და ფედერაცია რომ ვითანამშრომლებდით, ეს რამდენიმე თვის წინ გაცხადდა და კონტრაქტიც მზადდებოდა. მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ ევროშესარჩევი ეტაპის დამთავრების შემდეგ მიგვეცა ამისთვის ოფიციალური სახე — შესარჩევი ეტაპი ჩვენთვის ხომ, ფაქტობრივად, ჩაგდებული იყო. ეროვნული ნაკრების ახალ დაფინანსებაზე, ახალ მიდგომაზე მიდგა საქმე და თუ ყველაფერი სწორად გაკეთდება, ნანატრ მიზანს მივაღწევთ.

**— თქვენი ეს ნაბიჯი კონკრეტული პიროვნების მხადრაჭერასაც ნიშნავს?**

— ქართველებს საშინელი სენი გვჭირს — როცა რომელიმე სფეროში ლიდერი გამოიკვეთება, მას ვებრძვით. ახალკაცი გენიოსი იყო, როგორც პატრიოტი და როგორც წარმატებული ადამიანი. მას გარდაცვალების წინა დღეს შევხვდი და გერმანელი ექიმების დასკვნა მანახა, თუ რამდენი ხნის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. ის ყველაფრისთვის მზად იყო, მაგრამ ასეთ კაცს ჩვენ გული გავუხეთქეთ. ახლა ფედერაციის პრეზიდენტს გვერდით დგომა სჭირდება ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე. სიმართლე გითხრათ, ზოგადად წინააღმდეგი ვარ, ქართველებს უცხოელებმა ჭკუა დაგვარიგონ, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთს ჩამორჩით და უცხოელი მწვრთნელი აუცილებელია.

**— ფეხბურთში ბევრი მსხვილი ბიზნესმენი დებს ფულს და ამონაგები ექნება თუ არა, მათთვის ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ხელშეკრულება ფედერაციასთან — რამდენად დატვირთულია ის თქვენი რესპექტაბელურობის თვალსაზრისით?**

— მე დავხმარებივარ და ვეხმარები განათლების სისტემას, უცხოეთში მყოფ ქართველ სტუდენტებს, ხელოვნებას, მეცნიერებას, მაგრამ ჩუმად ვარ, არ ვხმაურობ. უბრალოდ, ახლა დადგა დრო, რომ ფეხბურთსაც დავეხმარო.

**— თქვენს კომპანიას ჰყავს საფეხბურთო გუნდი „ყაზბეგი", რომელიც ეროვნული ჩემპიონატის რეგიონულ ლიგაში გამოდის. არ აპირებთ სერიოზული ინვესტიციები ჩადოთ ამ გუნდში?**

— ეს გუნდი უფრო იმას ემსახურება, რომ ახალგაზრდობა სპორტში იყოს ჩაბმული, ახალგაზრდა ფეხბურთელს ზრდის საშუალება ჰქონდეს. „ყაზბეგის" რამდენიმე ფეხბურთელის ტრანსფერის სურვილი უკვე გამოთქვეს სხვა კლუბებმა. მაგრამ აქ ბიზნეს-ინტერესები ნაკლებად გვამოძრავებს.

**— ჩვენი კანონმდებლობით ალკოჰოლური სასმელების, მათ შორის ლუდის რეკლამირება სპორტში აკრძალულია, თუმც თქვენ უალკოჰოლო ნაწარმსაც უშვებთ და ლოგოს მაინც გამოიყენებთ ფეხბურთში რეკლამირებისთვის.**

— ლუდის რეკლამირება სპორტში ალბათ მხოლოდ საქართველოშია აკრძალული. ეს ჩვენი ერთ-ერთი ხარვეზია, მაგრამ ახალი მოწვევის პარლამენტში აუცილებლად დავაყენებთ ამ საკითხს — ალკოჰოლური სასმელების რეკლამირება სპორტს თანხებს მოუტანს. თანაც, ლუდი განვითარებულ ქვეყნებში ალკოჰოლად არც კი ითვლება, ლუდის რეკლამირება არც ჩემპიონთა ლიგაშია აკრძალული. ახალმა პარლამენტმა სპონსორობის საკითხზეც უნდა იმსჯელოს. სპორტში სპონსორების წახალისება თუ არ იქნება, ბეგარა მაინც მოვუხსნათ სპონსორებს. თუ პარლამენტში ეროვნული ორიენტაციის 80-100 დეპუტატი მოხვდება, ეს უკვე სერიოზული ბერკეტი იქნება საიმისოდ, რომ ქვეყნის განვითარება ლოგიკურად, არსებული სიტუაციის სპეციფიკიდან გამომდინარე მოხდეს და არა ისე, როგორც უცხოელი ექსპერტები გვთავაზობენ.

**დავით თავართქილაძე**

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. III ტური

E ჯგუფი

## გლაზგოური კოცნა

**გიო ახვლედიანი გლაზგოდან**



REUTERS გლაზგოდან

ალექს მაკლიშმა და ალექს ფერგიუსონმა ერთმანეთი თბილად მოიკითხეს

მედია ეცადა, რომ „მანჩესტერი“ და „რეინჯერსი“ წარმოესახა ტრადიციულ, ანგლო-სქოთურ ომად, რაც მოხერხდა კიდეც. ამ მატჩის რეკლამაც კი საკრივო ბრძოლის იერით გადიოდა — წითელ და ლურჯ სამოსში გამოწყობილი მოკრივენი ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ხელთათმანებს იზომებდნენ.

თამაშის მთავარი გმირი კი ერთადერთი გოლის ავტორი ფილ ნევილი არ ყოფილა. თამაშის, უფრო კი მოვლენის მთავარი გმირი იყო სერ ალექს ფერგიუსონი, გლაზგოს გარეუბან გოვენში დაბადებულ-გაზრდილი კაცი, რომელიც ბავშვობიდან „რეინჯერსის“ ქომაგი იყო და მშობლიურ ქალაქში ინგლისური დიდებით დახუნძლული ჩადიოდა. მაგრამ, როგორც ერთი არაკი ამბობს, შენ შეიძლება მსოფლიოში პირველი კაცი იყო, მაგრამ ჩვენთვის უბრალოდ ჟორა ხარ და ფერგისაც მოგონებები აშლოდა. მისი ბავშვობის სახლიდან კილომეტრის სავალზე გაშლილ მინდორზე მას უნდა დაემტკიცებინა, რომ ის ალექსია და ყველაფერი ახსოვს.

ფერგისთვის რეინჯერსი სხვა ამბავია. საყვარელ გუნდში მხოლოდ ორწელიწადნახევარს ითამაშა და სამარცხვინოდ გაყიდეს „ფალკირკში“. თან ისე, რომ გაყიდვამდე კლუბის მესამე გუნდში გადაისროლეს. სერ ალექსი ამას იმ ამბავს აბრალებს, რომ ცოლი კათოლიკე ჰყავდა და 35 წლის წინათ, პროტესტანტების „რეინჯერსი“ ამას ყურადღებას აქცევდა, თუმცა ფეხბურთის მეისტორიენი სულ სხვას ჰყვებიან.

„რეინჯერსში“ გატარებულ პირველ სეზონში ცენტრფორვარდმა ფერგიმ 23 გოლი გაიტანა. მეორე სეზონში კი მას დაცვა შესთავაზეს, „ჰიბერნიანიდან“ მავან სტინს ვიყიდით და შენ იქ გაგიშვებთო. მან იუარა. სტინი მაინც იყიდეს. ფერგი სკამზე დაჯდა, მაგრამ ქვეყნის თასის ფინალისთვის სტინი დაიმტვრა და „სელტიკის“ წინაღმდეგ ფერგი დაყენეს ცენტრფორვარდად. ის თამაში „სელტიკმა“ 4:0 მოიგო. ერთი გოლი კუთხურის შემდეგ იმ მცველმა გაიტანა, რომლის დაჭერაც კუთხურებისას ფერგის ევალებოდა. იმის შემდეგ მას ძირითადში აღარ უთამაშია. მერე კი გაყიდეს.

ის არ იყო იმის ნახევარი ფეხბურთელიც კი, როგორიც მწვრთნელია.

მწვრთნელმა ფერგიმ 20 წლის წინ უკვე გადაუხადა სამაგიერო „რეინჯერსს“, როცა „აბერდინით“ მოუგო იმავე თასის ფინალი და მერე ევროთასიც დაისაკუთრა. ახლა მეორეს ჯერი იყო. იმ „აბერდინში“ კი თამაშობდა აწ „რეინჯერსის“ მწვრთნელი ალექს მაკლიში, რომელსაც სწორედ ფერგიმ გაუხსნა გზა ძირითადი შემადგენლობისკენ.

გასაკვირი არ არის, რომ თამაშის წინ უმცროსი ალექსი უფროს ალექსს მის სკამთან ეწვია და მათ ალალად მოიკითხეს ერთმანეთი.

თავად თამაში კი ისეთი იყო, როგორიც უნდა ყოფილიყო ამ ორი გუნდის თამაში, „რეინჯერსმა“ ყველაფერი გაილო, მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ ის გუნდი აღმოჩნდა, რომლის ხუთ ფეხბურთელსაც პირველ წუთზე მოატყუებს ფილ ნევილი და გოლსაც გაიტანს.

ეს გოლი ერთადერთი იყო, ლურჯი სამოსით, დროშებითა დაქალალდით აფერადებული „აიბროქსი“ კი სიცივის მიუხედავად ლამაზი. ლოვენკრანდს შეეძლო გათანაბრება, ვერც ქართველებმა გაიმეორეს მიხეილ აშვეთიას წინა სალამოს წარმატება. შოთას შორეული დარტყმა ზემოდან გადასცდა კარს.

არის ასეთი გამოთქმა: გლაზგოურად აკოცაო. ეს ნიშნავს, რომ ჰალალ ჩხუბში და სქოთებს ჩხუბი უყვართ, ქუდს მოიხდი და თავურს დაარტყამ მოწინააღმდეგეს. ამას, რასაც ჩვენ ყარაჩოღლურს ვუწოდებთ, აქ გლაზგოური კოცნა ჰქვია. ეგებ ეს ერთი ჩვეულებრივი თამაში იყო, არც უფროსი ალექსი ერჩის რამე განსაკუთრებულს უმცროს ალექსს, მაგრამ ასე კი გამოვიდა, რომ ფერგიმ მაინც გლაზგოურად აკოცა „რეინჯერსს“. თუმცა „აიბროქსს“ სანუგეშოდ ისიც გამოადგება, რომ წინა სალამოს კონტინენტზე გადასულმა „სელტიკმაც“ წააგო.

**რეინჯერსი 0:1 მანჩესტერი**

0:1 ფილ ნევილი (5)

**რეინჯერსი:** კლოსი, რიკსენი, მური, ბერგი, ბოლი, ვანოლი (ნერლინგერი 67), **ხიზანიშვილი** (როსი 84), არტეტა, ლოვენკრანდსი, მოლსი, **არველაძე**

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

**მანჩესტერი:** ჰოვარდი, გარი ნევილი, ფერდინანდი, სილვესტრი, ოში, ფილ ნევილი (ბათი 84), კინი, ფორჩუნი (ჯემბა-ჯემბა 90), გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი

**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი

**გაფრთხილება:** ოში, სქოულზი

**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)

48 730 მაყურებელი

ორი ქართველის თამაში ჩემპიონთა ლიგაში ჩაბმულ ერთ გუნდში, დიახაც რომ, თვალსასეირო იყო და შოთა არველაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „რეინჯერსმაც“ მორიგი ბრძოლა გადაიხადა „აიბროქსზე“.

„რეინჯერსმა“ წააგო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ და წესით „მანჩესტერისთანა“ გუნდები უგებენ ხოლმე „რეინჯერსისთანა“ გუნდებს გასვლით თამაშებსაც კი. თუმცა, ფეხბურთიც იმისაა, რომ წესი არ მოქმედებს და „მანჩესტერმაც“ წააგო შტუტგარტში ორი კვირის წინათ, ამ გერმანულ გუნდს კი მანამდე „რეინჯერსმა“ მოუგო.

**შტუტგარტი 2:0 პანათინაიკოსი**

1:0 საბიჩი (13), 2:0 სოლდო (25)

**შტუტგარტი:** ჰილდებრანდი, ჰინკელი, მეირა, ბორდონი, ლამი, სოლდო, ვრანიესი (მეისნერი 77), ჰელდტი (ტიფერტი 62), გლები, კურანი, საბიჩი (ამანატიდისი 84)

**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი

**პანათინაიკოსი:** ნიკოპოლიდისი, მორისი, ჰენრიკსენი, ფისასი, ჟუტაუტასი, სეიტარიდისი, მიუნხი (ბ. კონსტანტინიდისი 69), ბასინასი, მიქაელსენი, მარიჩი, პაპადოპულოსი (კონსტანტინუ 46)

**მწვრთნელი:** იცხაკ შუმი

**გაფრთხილება:** მეირა

**მსაჯი:** პოლ ალაერტსი (ბელგია)

50 348 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| მანჩესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:2 | 6 |
| რეინჯერსი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |

F ჯგუფი

## პატივისცემით, მარად თქვენი პარტიზანი

### დაიცა, მანდ მოგიგებთ!

**რეალი 1:0 პარტიზანი**

1:0 რაული (38)

**რეალი:** კასილასი, სალგადო, პავონი (გუტი 46), რაულ ბრავო, კარლოსი, ფიგუ, ელგერა, ბექჰემი, ზიდანი (სოლარი 79), რაული, რონალდო (პორტილიო 79)

**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში

**პარტიზანი:** პანტიჩი, ოგნიანოვიჩი, სავიჩი, მალბასა, ჯორჯევიჩი (ბრონევიჩი 89), რჟასა (სტოიანოვსკი 46), დულიაი, ნადი (საკარი 90), ილიჩი, ილიევი, დრულოვიჩი

**მწვრთნელი:** ლოთარ მათეუსი

**გაფრთხილება:** ბექჰემი, ჯორჯევიჩი, გუტი

**მსაჯი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

58 000 მაყურებელი

ბელგრადის „პარტიზანის“ მწვრთნელი ლოთარ მათეუსი მატჩის შემდეგ ძალიან უკმაყოფილო იყო. მათეუსის აზრით, მისმა ქვეშევრდომებმა მადრიდის „რეალს“ რიდით ეთამაშეთ და იმიტომაც წააგეს. შეხვედრის ერთადერთი გოლი პირველი ტაიმის დასრულებამდე 7 წუთით ადრე რაულმა გაიტანა. დიახ, გოლი საბოლოოდ მაინც რაულს ჩაეთვალა და არა ლუიშ ფიგუს, რომლის თავურმაც გადაწყვიტა იმ ეპიზოდში ყველაფერი. ერთი სიტყვით, რაული ბურთს რომ აღარ შეხებოდა, ის მაინც შევარდებოდა კარში და გოლის შემდეგ მთავარი ზეიმიც ფიგუმ გადაიხადა, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუსთვის“ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

„განაწყენებული ვარ — თქვა მათეუსმა — ჩემმა ფეხბურთელებმა როგორც შეუძლიათ ისე ვერ ითამაშეს. მათი უმეტესობა „რეალის“ მიმართ რალაცნაირ ზედმეტ პატივისცემას ამჟღავნებდა. ჩვენ შეგვეძლო გამარჯვებისთვის გვებრძოლა, მაგრამ ამის მაგივრად, სევდიანი სურათი ვიხილეთ. ჩვენ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გამარჯვების დიდი შანსი გავუშვით ხელიდან“.

დიახ, „პარტიზანს“ აგრესია და გამომგონებლობა აკლდა, „რეალმა“ კი მშვიდად და წყნარად მიითვალა ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ მესამე გამარჯვება. მეტიც, ბელგრადელთა მეკარე ჯორჯე პანტიჩი დიდებულ ფორმაში რომ არ ყოფილიყო, ანგარიში, ალბათ, უფრო დიდი იქნებოდა.

მათეუსი: „მადრიდელები შედეგით კმაყოფილნი უნდა იყვნენ, თუმცა იმსახურებდნენ ამ გამარჯვებას თუ არა, საკითხავია. ერთადერთი, რაც მომეწონა, პანტიჩის თამაში იყო. მან დიდებულად დაიცვა კარი და საერთოდაც, წინ დიდი მომავალი ელის“.

როგორც გითხარით, პანტიჩმა რამდენიმე ბრწყინვალე ბურთი მოიგერია, მავალითად, რონალდომ ბურთი დევიდ ბექემს დაუნანებლად რომ გადააწოდა, ხოლო ბექემის ახლოდან დარტყმული პარტიზანთა მეკარემ არ გაუშვა. შემდეგ ბექემის პასით ფიგუმ რომ დაარტყა და ისევ პანტიჩმა იყოჩაღა.

ასე და ამგვარად, „რეალმა“ ერთის მეტი ვერ გაიტანა, თუმცა სამი ქულა მაინც სამი ქულაა და მისმა მოპოვებამ მადრიდელთა თავკაცს, კარლუშ კეიროშს გული გაუხარა:

„ჩვენი მიზანი ამ თამაშის მოგება გახლდათ. გამარჯვება შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მოხერხებულ პოზიციაში გვაყენებდა და ჩაგვაყენა კიდეც“

**მარსელი 2:3 პორტუ**

1:0 დროგბა (24), 1:1 მანიშე (31), 1:2 დერლეი (35), 1:3 ალენიჩევი (81), 2:3 მარლე (84)

**მარსელი:** რუნიე, ვან ბუიტენი, ჰემდალი, პერესი (სიჩოვი 66), მიდო (ვახოუშეკი 67), დროგბა, მეიტე, მერიემი, მარლე, ეკერი, სელესტინი

**მწვრთნელი:** ალენ პერენი

**პორტუ:** ბაია, ჟორჟე კოშტა, კარვალიო, კოშტინია, ნუნუ ვალენტე, დეკო, დერლეი (იანკაუსკასი 88), პეიხოტო (ბოსინგვა 65), მანიშე, ფერეირა (ალენიჩევი 73), პაულუ ფერეირა

**მწვრთნელი:** ჟოზე მაურინიუ

**გაფრთხილება:** დრობგა, ჟორჟე კოშტა, კოშტინია, მიდო, დეკო, კარვალიო, მანიშე, ბაია

**მსაჯი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

59 000 მაყურებელი

„პორტუს“ მწვრთნელს, ჟოზე მურინიოს სწამს, რომ მისი ბიჭების გამარჯვება მარსელის „ველოდრომზე“ F ჯგუფში, მადრიდის „რეალის“ გარდა, მეორე ფავორიტის ვინაობას ძალიან კონკრეტულად ასახელებს. სტუმრებმა კონტრშეტევაზე ააწყვეს თავისი თამაში და ზუსტი ეფექტიც მოახდინეს. მართალია, მატჩის დიდი წილი უპირატესობას „მარსელი“ ფლობდა, მაგრამ „პორტუმ“ რამდენი მწვავე კონტრშეტევაც გაახერხა, იმდენი გოლი შეაგდო.



REUTERS მადრიდიდან

გოლი რაულს ჩაეთვალა

„დიდებულად ვითამაშეთ, მატჩის მსვლელობას ჩვენ განვსაზღვრავდით — თქვა შეხვედრის შემდეგ მაურინიუმ, — ახლა ჯგუფში მეორე ადგილზე ვართ და ეს ძალიან კარგია, რადგან მეორე წრეში კალენდარი საჩვენოა, პირველი წრისას სჯობს“.

არადა, „პორტუმ“ თამაში მძიმედ დაიწყო და 24-ე წუთზე გოლიც გაუშვა — მარსელელმა თავდამსხმელმა დიდიე დროგბამ მესამე შეხვედრაში მეხუთე გოლი გაიტანა. მაგრამ შემდეგ სურათი შეიცვალა. ნახევარმცველის დეკოს და მანიშეს წყალობით სტუმრებმა სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება დაიწყეს.

„მარსელის“ კაპიტანი, შვეიცარიელი ფაბიო სელესტინი: „იმედგაცრუებული ვარ, რადგან მოგება გვჭირდებოდა. ის, რაც პირველ 25 წუთში ვითამაშეთ, წესით გამარჯვების საწინდარი უნდა ყოფილიყო და ეჭვი არ მეპარება, 1:0 შესვენებამდე რომ შეგვენარჩუნებინა, მოვიგებდით კიდეც. 1:2 კი ის ანგარიში გახლდათ, რომელმაც „პორტუს“ მეორე ტაიმში თავდაცვის საშუალება მისცა“.

„მარსელის“ მწვრთნელი ალან პერენი: „საქმე ხომ ხედავთ როგორც მიდის? მადრიდის „რეალმა“ დღეს „პარტიზანი“ დაამარცხა, ასე რომ, ვატყობ, გადამწყვეტი საპასუხო შეხვედრა იქნება. ფაქტია, რომ იმ საპასუხო შეხვედრაში თავდაცვაზე ზრუნვა უპირველეს ყოვლისა ჩვენ მოგვიწევს და არა მეტოქეს. დღეს კი შეცდომები დავუშვით და ამ შეცდომების გამო გამოცდილმა გუნდმა დაგვსაჯა.“

„მარსელის“ მცველი დანიელ ვან ბუიტენი: „ბრძოლა წინაა. ჩვენ ერთსულოვნად და შესაძლებლობების მაქსიმუმით თუ ვითამაშებთ, პორტუგალიაში მოვიგებთ.“

**ბაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:3 | 9 |
| პორტუ | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| მარსელი | 3 | 1 | 0 | 2 | 7:7 | 3 |
| პარტიზანი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

# ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. ჯგუფური ეტაპი. III ტური

G ჯგუფი

## ეს უკვე იყო, ოღონდ პირიქით

**ჩელსი 2:1 ლაციო**

**0:1 ინძაგი (38), 1:1 ლამპარდი (57), 2:1 მუტუ (65)**
**ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, ბრიჯი, ტერი, მაკელელე, ლამპარდი, დაფი (ჯერემი 78), ვერონი (გრონკიაერი 64), მუტუ (კოული 87), გუდიონსენი**
**მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი**
**ლაციო: პერუცი, ალბერტინი, ძაური (ფიორე 74), მიხაილოვიჩი, სტამი, ფავალი, კონსეისაო, სტანკოვიჩი (ლივერანი 84), კორადი, ინძაგი (მუცი 67), ოდო**
**მწვრთნელი: რობერტო მანჩინი**
**გაფრთხილება: ვერონი, მიხაილოვიჩი, ტერი, ინძაგი, ფიორე, ოდო**
**მსაჯი: ტერი ჰაუგე (ნორვეგია)**
**40 405 მაყურებელი**

„ჩელსიმ“ ჩემპიონთა ლიგაში პირველი საშინაო მატჩი მოიგო და რომან აბრამოვიჩის მორიგი ტაში დაიმსახურა. „არისტოკრატების“ პატრონს ხელის ხელზე შემოკვრა წაგებული მატჩის შემდეგაც არ ეზარება, მაგრამ „ცისფერი მთების“ პერსონაჟს თუ დავესესხებით, ეს სულ სხვა ტაში იყო.


REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ლაციო. აბრამოვიჩის მეგოლეები: ადრიან მუტუ და ფრენკ ლამპარდი

სალიგო დონეზე ეს გუნდები ერთმანეთს სამი წლის წინაც შეხვდნენ. „ლაციომ“ ლონდონში 2:1 იძალა. აღსანიშნავია, რომ მაშინ პირველი ტაიმის მიწურულს „ჩელსი“ დაწინაურდა, რომაელებმა კი მეორე ნახევარში ინძაგისა და მიხაილოვიჩის გოლებით იმარჯვეს.

ამჯერად პირიქით მოხდა. „ლაციო“ ინძაგის წყალობით იგებდა, შესვენების შემდეგ კი მასპინძლებმა მეტოქე „დაახურდავეს“.

„არისტოკრატებში“ კვლავ გაერია ტრავმამოშუშებული ხუან სებასტინ ვერონი, რომელმაც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ჯიგრიანად ითამაშა. ასევე ძველი ლაციოელი ერნან კრესპო კი მოედანზე საზარდულის ტკივილმა არ შეუშვა. კრესპოს ნაცვლად კლაუდიო რანიერიმ ეიდურ გუდიონსენი გაამწესა და ადრიან მუტუ მიაშველა.

პირველი ტაიმის ნახევარი აშკარად „ჩელსისა“ იყო. რომაელებს მეტწილად თავდაცვა უხდებოდათ. მასპინძელთა უპირატესობას ხეირი არ მოჰყოლია, რადგან ძირითადად საჯარიმოს გარედან ურტყამდნენ და ანჯელო პერუცისაც თავზესაყრელი საქმე არ ჰქონია.

ტაიმის მიწურულს სტუმრები მეტოქის წილ მოედანს გაუშინაურდნენ და მასიმო ოდომ სიმონე ინძაგი საგოლე პასით დაასაჩუქრა.

შესვენებისას კლაუდიო რანიერის არავინ შეუცვლია. ლონდონელები რომაელებს ნელ-ნელა მიაწვნენ და ლამპარდის უძლიერესი დარტყმით „გახვრიტეს“. იშტაზე მოსული „არისტოკრატების“ დამუხრუჭება „ლაციოს“ გაუჭირდა. ადრიან მუტუმ მეტოქის მცველებს საჯარიმოში თავბრუ დაახვია და მეორე ცდით პერუცის გაუტანა.

„ყველაფერი ჯერ წინაა — თქვა ნამატჩევს რობერტო მანჩინიმ — ვფიქრობ, ათ ქულას მაინც მოვაგროვებთ და მეორე ადგილს დავიკავებთ“.

**სპარტა 2:1 ბეშიქთაში**

**1:0 ზელენკა (58), 1:1 პანჩუ (603), 2:1 პობორსკი (84)**
**სპარტა: ბლაჟეკი, ლაბანტი, პერგლი, ჰუბშმანი, იოჰანა, ზელენკა (მიხალიკი 90), პობორსკი, სიონკო (ჯუნი 89), კოვაჩი, ნემეცი, კინცლი (გლუშკევიჩი 86)**
**მწვრთნელი: ირჟი კოტბა**
**ბეშიქთაში: კორდობა, ემრე აშიკი, ძაგო, გუიარო, ჰაუტჩუ, ჯუნტი, იბრაჰიმი, იალჩინი (ჰასან აჰმედი 82), პანჩუ, დობრა, აჰმეთ დურსუნი (ქალოღლუ 65)**
**მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ**
**გაფრთხილება: ემრე აშიკი, კოვაჩი, იოჰანა, ჯუნტი, პანჩუ**
**მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)**
**14 512 მაყურებელი**

ლონდონში „ჩელსის“ დამარცხების შემდეგ „ბეშიქთაშს“ პრაღას დიდი გული ეწვია. „შავი არწივის“ ქომაგები მირჩა ლუჩესკუსგან, ცხადია, „სპარტას“ დამარცხებას ითხოვდნენ. რუმინელ მწვრთნელს მთავარმცველი ილჰან მანსიზი აკლდა. სერგენ იალჩინმა, მიუხედავად ტრავმისა, ითამაშა, მაგრამ ისე ვერა, როგორც „ჩელსისთან“.

სერგენმა პირველ ტაიმში მანსიზის შემცვლელ აჰმეთ დურსუნს ერთი კარგი პასი მაინც გაუჩარხა. „ბეშიქთაშის“ ფორვარდი ბლაჟეკთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ბურთი ვერ ძოათვინიერა და მეკარემ აჯობა.

„სპარტა“ შესვენებამდე მეტოქეზე სუსტად გამოიყურებოდა, ამიტომ სახიფათო მომენტები მასპინძელთა კართან უფრო მეტი შეიქმნა. დობრამ, ჯუნტიმ და აჰმეთ დურსუნმა კიდევ რამდენჯერმე შეაწუხეს ბლაჟეკი, მაგრამ ჩეხმა იყოჩაღა.

ტაიმის მიწურულს პრაღელებმა თამაში გამოასწორეს და „ბეშიქთაში“ საკუთარ საჯარიმოში დროებით დაასახლეს. კარელ პობორსკიმ, ზელენკამ და პეგილმა შორეულ დარტყმებით მოსინჯეს კოლუმბიელ მეკარის კლასი. მასპინძელთაგან საუკეთესო შანსი მარეკ კინცლს ჰქონდა. მან გამოვარდნილ ბურთზე დასამატებლად გაიწია, მაგრამ კორდობამ სასწაულებრივ ნახტომში დაასწრო. მეტოქეებმა მეორე ტაიმიც ცოცხლად დაიწყეს და ორწუთიან მონაკვეთში თითო გოლი გაცვალეს. ზელენკამ მარცხენა ფლანგიდან ბურთი მიიღო, ორ მცველს სწრაფად გაერიდა და კოლუმბიელს გაუტანა. თურქებმა უმალ გაათანაბრეს. ბლაჟეკმა სერგენი საჯარიმოში წააქცია და დანიშნული პენალტი რუმინელმა პანჩუმ გამოიყენა. შეხვედრის ბოლოს მეტოქეები თითო ქულას უფრთხილდებოდნენ. თითქოს ფრეზეც ყაბულს იყვნენ, მაგრამ კარელ პობორსკი ბებერმა ძვლებმა არ მოასვენა და შორეულ ძელთან ჩასაფრებულმა კორდობა მეორედ დაამწუხრა.

**მაჭა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| სპარტა | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ლაციო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

H ჯგუფი

## ბელგიური კატენაჩო

**მილანი 0:1 ბრიუგე**

**0:1 მენდოსა (33)**
**მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, პანკარო, ბროკი, პირლო, კაკა (რუი კოშტა 62), ზეედორფი (სერჯინიო 62), ინძაგი, შევჩენკო (ტომასონი 75)**
**მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი**
**ბრიუგე: ვერლინდენი, დე კოკი, მაერტენსი, სიმონსი, როზენალი, ვან დერ ჰეიდენი, ჩენი (სტოიკა 90), კლემენტი, გვოზდენოვიჩი, მარტენსი (ვერჰეიენი 78), მენდოსა (საეტერნესი 78)**
**მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი**
**გაფრთხილება: დე კოკი**
**მსაჯი: ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)**
**43 823 მაყურებელი**


REUTERS ამსტერდამიდან

აიაქსი — სელტა. ზლატან იბრაჰიმოვიჩის საგოლე დარტყმა

საეჭვოა, „ბრიუგემ“ ბოლომდე შეძლოს მეორე ადგილის შენარჩუნება, მაგრამ დღეს, პირველი წრის გასრულების მერე, ბელგიის ჩემპიონი მერვედფინალში გამსვლელ ადგილზეა. მესამე ტურში, იქამდე ბოლოადგილოსანმა გუნდმა საარაკო საქმე ჩაიდინა — „სან სიროზე“ ჩემპიონთა თასის მფლობელი „მილანი“ დასცა.

არადა, „მილანი“ თითქმის მთელი მატჩი უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ფილიპო ინძაგიმ, კლარენს ზეედორფმა და ანდრეი შევჩენკომ უპირატესობა გოლებში ვერ ასახეს. „ბრიუგემ“ კი შესაშური მარგი ქმედების კოეფიციენტი აჩვენა. 33-ე წუთზე პერუელმა ფორვარდმა ანდრეს მენდოსამ სტუმართა გამარჯვებისა გაიტანა. — ივან გროზდენოვიჩმა მენდოსას კარგი პასი მისცა, პერუელი საჯარიმოში შეიჭრა და ცაციათი დიდას შორეულ დაბალ კუთხეში ჩაუჭედა.

| 16.30 | 5019 | ლივერპული-ლიდსი | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 19.00 | 5020 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 19.00 | 5021 | ჩელსი-სიტი | 1,85 | 2,4 | 5,3 | 1,04 | 1,37 | 1,65 |
| 19.00 | 5022 | მანჩესტერი-ფულემი | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 19.00 | 5023 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 19.00 | 5024 | საუთჰემპტონი-ბლექბერნი | 2,5 | 2,1 | 3,8 | 1,14 | 1,5 | 1,35 |
| 19.00 | 5025 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5026 | ჰანოვერი-მიუნხენი | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 18.30 | 5027 | აინტრახტი-კიოლნი | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 18.30 | 5028 | ფრაიბურგი-ვერდერი | 3,2 | 2,1 | 3,0 | 1,26 | 1,54 | 1,23 |
| 18.30 | 5029 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.30 | 5030 | ჰანზა-ჰერტა | 3,1 | 2,1 | 3,1 | 1,25 | 1,55 | 1.25 |
| 18.30 | 5031 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 2,7 | 6,5 | 1,02 | 1,31 | 1,9 |
| 18.30 | 5032 | ჰამბურგი-შალკე | 2,6 | 2,1 | 3,6 | 1,16 | 1,5 | 1,32 |
| 21.00 | 5033 | სიენა-ლეჩე | 2,2 | 2,15 | 4,8 | 1,08 | 1,5 | 1,48 |
| 23.30 | 5034 | ემპოლი-კიევო | 3,5 | 2,05 | 2,8 | 1,29 | 1,55 | 1,18 |
| 20.30 | 5035 | მალაგა-სარაგოსა | 2,4 | 2,1 | 4,2 | 1,12 | 1,52 | 1,4 |
| 22.30 | 5036 | რეალი-რასინგი | 1,35 | 3,6 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,48 |
| 00.30 | 5037 | დეპორტივო-ვალენსია | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18.00 | 5038 | ჩარლტონი-არსენალი | 5,0 | 2,2 | 2,1 | 1,52 | 1,47 | 1,07 |
| 20.05 | 5039 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1,09 | 1,53 | 1,44 |
| 20.30 | 5040 | ბოხუმი-დორტმუნდი | 3,3 | 2,1 | 2,9 | 1,28 | 1,54 | 1,21 |
| 20.30 | 5041 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 2,7 | 5,6 | 1,02 | 1,27 | 1,82 |
| 23.30 | 5042 | ინტერი-რომა | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |
| 18.00 | 5043 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,4 | 3,4 | 8,0 | 1 | 1,19 | 2,38 |
| 18.00 | 5044 | ლაციო-ბოლონია | 1,8 | 2,4 | 5,6 | 1,02 | 1,36 | 1,68 |
| 18.00 | 5045 | პარმა-მოდენა | 1,9 | 2,25 | 6,0 | 1,03 | 1,44 | 1,63 |
| 18.00 | 5046 | პერუჯა-უდინეზე | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1,27 |
| 18.00 | 5047 | რეჯინა-ანკონა | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1,04 | 1,44 | 1,6 |
| 18.00 | 5048 | სამპდორია-მილანი | 4,4 | 2,05 | 2,4 | 1,39 | 1,55 | 1,1 |
| 20.00 | 5049 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 2,9 | 2,05 | 3,4 | 1,2 | 1,56 | 1.27 |
| 20.00 | 5050 | ესპანიოლი-სელტა | 3,0 | 2,05 | 3,3 | 1,21 | 1,57 | 1,26 |
| 20.00 | 5051 | სოსიედადი-ოსასუნა | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1,5 | 1,5 |
| 20.00 | 5052 | ბეტისი-ალბასეტე | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 20.00 | 5053 | ვილიარეალი-სევილია | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1,3 |
| 22.00 | 5054 | მალიორკა-ბარსელონა | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1,53 | 1,19 |
| 24.00 | 5055 | მურსია-ატლეტიკო | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1,18 | 1,55 | 1,29 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **25 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 16.30 | 5118 | ბოლტონი-ბირმინგემი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 16.30 | 5119 | ლივერპული-ლიდსი | 1,9 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 19.00 | 5120 | ასტონ ვილა-ევერტონი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5121 | ჩელსი-სიტი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 19.00 | 5122 | მანჩესტერი-ფულემი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 35,0 | 17,0 | 17,0 |
| 19.00 | 5123 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 19.00 | 5124 | საუთჰემპტონი-ბლექბ. | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 19.00 | 5125 | ვულვერჰემპ.-ლესტერი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 5126 | ჰანოვერი-მიუნხენი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.30 | 5127 | აინტრახტი-კიოლნი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.30 | 5128 | ფრაიბურგი-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 18.30 | 5129 | შტუტგარტი-ვოლფსბ. | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 18.30 | 5130 | ჰანზა-ჰერტა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 18.30 | 5131 | ბაიერნი-კ.სლაუტერნი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 18.30 | 5132 | ჰამბურგი-შალკე | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 21.00 | 5133 | სიენა-ლეჩე | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 23.30 | 5134 | ემპოლი-კიევო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 20.30 | 5135 | მალაგა-სარაგოსა | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 22.30 | 5136 | რეალი-რასინგი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 00.30 | 5137 | დეპორტივო-ვალენსია | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| | | **26 ოქტომბერი** | | | | | | | | | |
| 18.00 | 5138 | ჩარლტონი-არსენალი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 8,0 | 4,6 | 3,3 | 20,0 | 10,0 | 2,3 |
| 20.05 | 5139 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,6 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 20.30 | 5140 | ბოხუმი-დორტმუნდი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 20.30 | 5141 | ლევერკუზ.-მ.გლადბახი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 14,0 | 25,0 | 14,0 | 14,0 |
| 23.30 | 5142 | ინტერი-რომა | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |
| 18.00 | 5143 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,5 | 25,0 | 50,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 30,0 | 17,0 | 17,0 |
| 18.00 | 5144 | ლაციო-ბოლონია | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 18.00 | 5145 | პარმა-მოდენა | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 5146 | პერუჯა-უდინეზე | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 18.00 | 5147 | რეჯინა-ანკონა | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 18.00 | 5148 | სამპდორია-მილანი | 6,0 | 10,0 | 20,0 | 6,5 | 4,4 | 3,8 | 20,0 | 10,0 | 2,9 |
| 20.00 | 5149 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.00 | 5150 | ესპანიოლი-სელტა | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 20.00 | 5151 | სოსიედადი-ოსასუნა | 2,5 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.00 | 5152 | ბეტისი-ალბასეტე | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 20.00 | 5153 | ვილიარეალი-სევილია | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 22.00 | 5154 | მალიორკა-ბარსელონა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 24.00 | 5155 | მურსია-ატლეტიკო | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,2 |

## ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **25 ოქტომბერი** | | |
| 16.30 | 5318 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1,65 | 1,95 |
| 16.30 | 5319 | ლივერპული-ლიდსი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5320 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5321 | ჩელსი-სიტი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5322 | მანჩესტერი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 19.00 | 5323 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 19.00 | 5324 | საუთჰემპტონი-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 19.00 | 5325 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1,75 | 1,85 |
| 18.30 | 5326 | ჰანოვერი-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5327 | აინტრახტი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5328 | ფრაიბურგი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5329 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5330 | ჰანზა-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5331 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 5332 | ჰამბურგი-შალკე | 1,6 | 2,0 |
| 21.00 | 5333 | სიენა-ლეჩე | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 5334 | ემპოლი-კიევო | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 5335 | მალაგა-სარაგოსა | 1,65 | 1,95 |
| 22.30 | 5336 | რეალი-რასინგი | 1,8 | 1,8 |
| 00.30 | 5337 | დეპორტივო-ვალენსია | 1,65 | 1,95 |
| | | **26 ოქტომბერი** | | |
| 18.00 | 5338 | ჩარლტონი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 20.05 | 5339 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,7 | 1,9 |
| 20.30 | 5340 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 5341 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 5342 | ინტერი-რომა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5343 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5344 | ლაციო-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5345 | პარმა-მოდენა | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5346 | პერუჯა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 5347 | რეჯინა-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 5348 | სამპდორია-მილანი | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5349 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5350 | ესპანიოლი-სელტა | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5351 | სოსიედადი-ოსასუნა | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 5352 | ბეტისი-ალბასეტე | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 5353 | ვილარეალი-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 5354 | მალიორკა-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 24.00 | 5355 | მურსია-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **25 ოქტომბერი** | | |
| 16.30 | 5218 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1,9 | 1,7 |
| 16.30 | 5219 | ლივერპული-ლიდსი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5220 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5221 | ჩელსი-სიტი | 1,95 | 1,65 |
| 19.00 | 5222 | მანჩესტერი-ფულემი | 2,2 | 1,5 |
| 19.00 | 5223 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5224 | საუთჰემპტონი-ბლეკბერნი | 1,9 | 1,7 |
| 19.00 | 5225 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1,85 | 1,75 |
| 18.30 | 5226 | ჰანოვერი-მიუნხენი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5227 | აინტრახტი-კიოლნი | 1,9 | 1,7 |
| 18.30 | 5228 | ფრაიბურგი-ვერდერი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5229 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 2,0 | 1,6 |
| 18.30 | 5230 | ჰანზა-ჰერტა | 1,95 | 1,65 |
| 18.30 | 5231 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 2,2 | 1,5 |
| 18.30 | 5232 | ჰამბურგი-შალკე | 2,0 | 1,6 |
| 21.00 | 5233 | სიენა-ლეჩე | 1,75 | 1,85 |
| 23.30 | 5234 | ემპოლი-კიევო | 1,8 | 1,8 |
| 20.30 | 5235 | მალაგა-სარაგოსა | 1,85 | 1,75 |
| 22.30 | 5236 | რეალი-რასინგი | 2,4 | 1,4 |
| 00.30 | 5237 | დეპორტივო-ვალენსია | 1,8 | 1,8 |
| | | **26 ოქტომბერი** | | |
| 18.00 | 5238 | ჩარლტონი-არსენალი | 1,9 | 1,7 |
| 20.05 | 5239 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5240 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,9 | 1,7 |
| 20.30 | 5241 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 2,2 | 1,5 |
| 23.30 | 5242 | ინტერი-რომა | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5243 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,95 | 1,65 |
| 18.00 | 5244 | ლაციო-ბოლონია | 1,9 | 1,7 |
| 18.00 | 5245 | პარმა-მოდენა | 1,85 | 1,75 |
| 18.00 | 5246 | პერუჯა-უდინეზე | 1,8 | 1,8 |
| 18.00 | 5247 | რეჯინა-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 18.00 | 5248 | სამპდორია-მილანი | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5249 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5250 | ესპანიოლი-სელტა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5251 | სოსიედადი-ოსასუნა | 1,8 | 1,8 |
| 20.00 | 5252 | ბეტისი-ალბასეტე | 1,9 | 1,7 |
| 20.00 | 5253 | ვილარეალი-სევილია | 1,75 | 1,85 |
| 22.00 | 5254 | მალიორკა-ბარსელონა | 1,9 | 1,7 |
| 24.00 | 5255 | მურსია-ატლეტიკო | 1,8 | 1,8 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **25 ოქტომბერი** | | |
| 16.30 | 5418 | ბოლტონი-ბირმინგემი | 1,85 | 1,95 |
| 16.30 | 5419 | ლივერპული-ლიდსი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 5420 | ასტონ ვილა-ევერტონი | 1,7 | 2,2 |
| 19.00 | 5421 | ჩელსი-სიტი | 1,35 | 3,2 |
| 19.00 | 5422 | მანჩესტერი-ფულემი | 1,2 | 4,0 |
| 19.00 | 5423 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1,4 | 3,0 |
| 19.00 | 5424 | საუთჰემპტონი-ბლეკბერნი | 1,75 | 2,1 |
| 19.00 | 5425 | ვულვერჰემპტონი-ლესტერი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 5426 | ჰანოვერი-მიუნხენი | 1,7 | 2,2 |
| 18.30 | 5427 | აინტრახტი-კიოლნი | 1,8 | 2,0 |
| 18.30 | 5428 | ფრაიბურგი-ვერდერი | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5429 | შტუტგარტი-ვოლფსბურგი | 1,45 | 2,8 |
| 18.30 | 5430 | ჰანზა-ჰერტა | 1,9 | 1,9 |
| 18.30 | 5431 | ბაიერნი-კაიზერსლაუტერნი | 1,3 | 3,4 |
| 18.30 | 5432 | ჰამბურგი-შალკე | 1,75 | 2,1 |
| 21.00 | 5433 | სიენა-ლეჩე | 1,6 | 2,4 |
| 23.30 | 5434 | ემპოლი-კიევო | 2,0 | 1,8 |
| 20.30 | 5435 | მალაგა-სარაგოსა | 1,7 | 2,2 |
| 22.30 | 5436 | რეალი-რასინგი | 1,15 | 4,4 |
| 00.30 | 5437 | დეპორტივო-ვალენსია | 1,8 | 2,0 |
| | | **26 ოქტომბერი** | | |
| 18.00 | 5438 | ჩარლტონი-არსენალი | 2,6 | 1,5 |
| 20.05 | 5439 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 1,65 | 2,3 |
| 20.30 | 5440 | ბოხუმი-დორტმუნდი | 1,95 | 1,85 |
| 20.30 | 5441 | ლევერკუზენი-მიონხენგლადბახი | 1,3 | 3,4 |
| 23.30 | 5442 | ინტერი-რომა | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 5443 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,15 | 4,4 |
| 18.00 | 5444 | ლაციო-ბოლონია | 1,35 | 3,2 |
| 18.00 | 5445 | პარმა-მოდენა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 5446 | პერუჯა-უდინეზე | 1,8 | 2,0 |
| 18.00 | 5447 | რეჯინა-ანკონა | 1,4 | 3,0 |
| 18.00 | 5448 | სამპდორია-მილანი | 2,2 | 1,7 |
| 20.00 | 5449 | ვალიადოლიდი-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 20.00 | 5450 | ესპანიოლი-სელტა | 1,85 | 1,95 |
| 20.00 | 5451 | სოსიედადი-ოსასუნა | 1,5 | 2,6 |
| 20.00 | 5452 | ბეტისი-ალბასეტე | 1,4 | 3,0 |
| 20.00 | 5453 | ვილარეალი-სევილია | 1,8 | 2,0 |
| 22.00 | 5454 | მალიორკა-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |
| 24.00 | 5455 | მურსია-ატლეტიკო | 1,85 | 1,95 |

# კვირის კალენდარი

20 ოქტომბერი - გაზეთი „ახალი ვერსია", მეორე ეტაპის მე-11 ტური, ინგლისის თასი მესამე რაუნდი (28-29 ო ქტომბერი, Carling Cup), სამ ვარიანტად.
21 ოქტომბერი - ჟურნალი „ულტრა", მეორე ეტაპის მე-12 ტური, (29 ოქტომბერი, ესპანეთის ჩემპიონატი), სამ ვარიანტად.
23 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-9 ტური, (25 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ), სამ ვარიანტად. მეორე ეტაპის მე-5 და მე-6 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა 6 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები).
24 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-10 ტური, (26 ოქტომბერი, ევროპის ქვეყნების სჩ), ორ ვარიანტად.
25 ოქტომბერი - გაზეთი „სარბიელი", მეორე ეტაპის მე-7 და მე-8 ტურის წინასწარი შედეგები, მდგომარეობა 8 ტურის შემდეგ (წინასწარი შედეგები), კონკურსის დებულება, მომდევნო კვირის კალენდარი

# პირველ ეტაპზე გაიმარჯვეს

1 ადგილი — ვეშაპიძე გია შოთას ძე 284 ქ.
2 ადგილი — კაციტაძე იუზა დიმიტრის ძე 274 ქ.
3 ადგილი — ბარბაქაძე ზურაბ გიორგის ძე 267 ქ.

გამარჯვებულები გამოცხადდნენ გაზეთის რედაქციაში პარასკევს, 24 ოქტომბერს, 17 საათზე. მისამართი: აგლაძის ქ. 39ა

## საკონკურსო ბიულეტენები მიიღება

*1. ტოტალიზატორ „ტაიმში", კოსტავას ქ. №37 .*
*2. მეტრო „ვაგზლის მოედანი" პირველი გამოსასვლელი „პლანეტის" ჯიხური №8*
*3. მეტრო „გოცირიძე" „ფორტე 4 "*
*4. დოლიძის ქუჩის კუთხეში „პლანეტის" ჯიხური №18 ატელიეს წინ*
*5. მეტრო „ვარკეთილი" „ფორტე 2"*
*6. მეტრო „სამგორი" „ფორტე 9"*
*7. მეტრო „თავისუფლების მოედანი" მაღაზია „თბილისი"*
*8. მეტრო „ახმეტელი" „ფორტე 7"*
*9. მეტრო „ღრმაღელე" „პლანეტის" ჯიხური №20*
*10. მეტრო „დიდუბესთან" „პლანეტის" ჯიხური №17*
*11. გადასასვლელ ხიდთან „პლანეტის" ჯიხური №16*
*12. მარჯანიშვილის მოედანზე „პლანეტის" ჯიხური №15*
*13. „მაცნეს" ჯიხური №22 (უნივერსიტეტის პირდაპირ)*
*14. „მაცნეს" ჯიხური №29 (მეცხრე საავადმყოფოს პირდაპირ)*
*15. ქუთაისში ნიუპორტის ქ. 1 ოთახი 21 (მესხიშვილის თეატრის უკან)*
*16. ბათუმში ზუბალაშვილის №13 (ავთო გადახაბაძე, 12-დან 15 საათამდე, 7-45-82)*
*ყველა მიმღები პუნქტი აღნიშნული ფორტეთი მდებარეობს მეტროში*

# საუკეთესო პროგნოზისტის კონკურსი „ფეხბურთი 2003-2004"

II ეტაპი, X ტური

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

---------------------------------

**რჩება კონკურსანტთან**
**ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03**

შტამპის ადგილი

II ეტაპი, X ტური
ჩაბარების ბოლო ვადაა 24.10.03

სახელი, მამის სახელი, გვარი ----------------------

---------------------------------

მისამართი---------------------------

---------------------------------

---------------------------------

საკონტაქტო ტელეფონი ---------------

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | | 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | |
| 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | | 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | |
| 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | | 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | |
| 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | | 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | |
| 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | | 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | |
| 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | | 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | |
| 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | | 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | |
| 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | | 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | |

A B

II ეტაპი, X ტური

II ეტაპი, X ტური

| დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) | დრო | თარიღი | გუნდები | პროგნოზი (ანგარიში) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | | 23.30 | 26.10 | ინტერი - რომა | |
| 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | | 18.00 | 26.10 | პარმა - მოდენა | |
| 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | | 18.00 | 26.10 | პერუჯა - უდინეზე | |
| 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | | 20.30 | 26.10 | ბოჰუმი - დორტმუნდი | |
| 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | | 15.30 | 26.10 | პსვ - აიაქსი | |
| 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | | 23.30 | 26.10 | დეპორტივო - ვალენსია | |
| 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | | 19.00 | 26.10 | სოსიედადი - ოსასუნა | |
| 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | | 19.00 | 26.10 | მალაგა - სარაგოსა | |

A B

ყურადღება! საკონკურსო ბიულეტენების ჩაბარება შეიძლება 25 ოქტომბერს 17 საათამდე ტოტალიზატორ „ტაიმში" და გაზეთ „ახალი ვერსიის" რედაქციაში (მხოლოდ 25 ოქტომბერს)

**საკონკურსო ბიულეტენებში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მონაწილეებს ვთხოვთ ჯერ შეავსონ ჩასაბარებელი B ნაწილი**

# RUGBY WORLD CUP 2003

ავსტრალია 10 ოქტომბერი — 22 ნოემბერი

## საქართველო VS ს. აფრიკა

24 ოქტომბერი. სიდნეი. «ოზი». 15 საათი



| საქართველო | | სამხრეთ აფრიკა |
|---|---|---|
| ირაკლი მაჩხანელი (5) | 15 | რიკარდო ლუბშერი |
| გოჩა ხონელიძე (1) | 14 | სტეფან ტერბლანში |
| ოთარ ელოშვილი (1) | 13 | ჟაკ ფურიე |
| ვასილ კაცაძე (კაპ) (30) | 12 | ვერნერ ხრეეფი |
| არჩილ ქავთარაშვილი (19) | 11 | ბრეიტონ პოლსი |
| პალიკო ჯიმშელაძე (38) | 10 | დერიკ ჰუგაარდი |
| ირაკლი მოდებაძე (1) | 9 | ნილ დე კოკი |
| გიორგი ჩხაიძე (8) | 8 | ჯო ფან ნიკერკი |
| გიორგი ნიკლაური (0) | 7 | დენი როშოუ |
| დავით ბოლღაშვილი (20) | 6 | ჰენდრო სკოლცი |
| ვიქტორ დიდებულიძე (28) | 5 | სალბორნ ბოომი |
| სერგო გუჯარაიძე (0) | 4 | ბაკიზ ბოთა |
| ალექსანდრე მარგველაშვილი (3) | 3 | ფაან რაუტენბახი |
| დავით დადუნაშვილი (2) | 2 | ჯონ სმიტი (კაპ) |
| ავთანდილ კოპალიანი (1) | 1 | ლოურენს სეპაკა |
| **სათადარიგოები** | | |
| აქვსენტი გიორგაძე (31) | 16 | დეილ სანტონი |
| სოსო ნიკოლაენკო (10) | 17 | კრისტო ბეზუიდენჰაუტი |
| ილია ზედგინიძე (24) | 18 | ვიქტორ მეტფილდი |
| გრეგუარ იაშვილი (11) | 19 | შალკ ბურგერი |
| ირაკლი აბუსერიძე (24) | 20 | იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი |
| მერაბ კვირიკაშვილი (5) | 21 | ლუის კუნი |
| ბესიკ ხამაშურიძე (29) | 22 | იორი მილერი |

**მსაჯი: სტიუარტ დიკინსონი (ავსტრალია)**

*ბორჯღალოსნებს ფრჩხილებში უწერიათ ნაკრებში თამაშების ოდენობა, ხოლო „ქურციკებში" მთავრული შრიფტით გამორჩეულები არიან თბილისში 2001 წელს ნამყოფები*

# გამარჯობათ, ჩვენო თბილისელებო!

## ძველი სახეები ახალ მარცხს გვიმზადებენ

*დრო ავსტრალიაშიც მიდის, ფავორიტებისთვის იქნებ ნელა – ინგლისს ან ახალ ზელანდიას ფინალში ეჩქარებათ, არადა, იქამდე თვეზე მეტი დროა. აუტსაიდერებისთვის კი დრო პირდაპირ მიფრინავს. ერთი საშინელი მარცხის შემდეგ გემრიელად გამოძინებას და დასვენებას ვერ ასწრებენ, რომ მსოფლიოს თასის კალენდარი მეორე გიგანტს დაატაკებს და ეს საწყლებიც იძულებულები არიან, მოედანზე ათით-სამოცდაათის წასაგებად გავიდნენ. ზოგჯერ სხვაობა უფრო მეტიცაა...*

**ასეთებში** საქართველოც ურევია. თუ მედალს მეორე მხრიდან შევხედავთ, იქნებ გვესიამოვნოს კიდეც — ხომ მაინც ურევია, მაშინ, როცა სხვები, მაგალითად, რუსეთი, არ ურევიაო.

მაგრამ, სამწუხაროდ, მედლის პირველი მხარე უფრო ყვირის, ყვირის წარწერით:

საქართველო 6:84 ინგლისი
საქართველო 9:46 სამოა

და მალე დაეწერება კიდევ ერთი მყვირალა ანგარიში — დღეს ჩვენი დროით სამ საათზე, სიდნეის „ოზის" მომცრო სტადიონზე საქართველო სამხრეთ აფრიკას შეხვდება.

სამხრეთაფრიკელები თბილისშიც გვახსოვს. 2001 წლის შემოდგომაზე სამხრეთ აფრიკის „ა" ანუ მეორე ნაკრები გვესტუმრა და 31:17 დაამარცხა საქართველოს პირველი გუნდი, რომელიც, ესეც გავიხსენოთ, მაშინ საუკეთესო ფორმაში იყო, იმ წელს ერთა თასი მოეგო, ხოლო აფრიკელებამდე ორი კვირით ადრე საფრანგეთის „ა" ნაკრები დაამარცხა.

ახლა ბორჯღალოსნები სულ სხვა დონის მატჩში ეჭიდებიან „ქურციკებს" და ალბათ დიდი ანგარიშითაც წააგებენ. იმედი ვიქონიოთ, რომ სხვაობა არ იქნება კატასტროფული და სარეკორდო. ამ მსოფლიოს თასზე ანტირეკორდი ჯერჯერობით რუმინეთისაა, რომელიც 82 ქულის სხვაობით განადგურდა ავსტრალიასთან.

არადა, დიდი შანსი იყო, რუმინეთისთვის ეს არასახარბიელო „მიღწევა" ჩამოგვერთმია. ბორჯღალოსნების თავკაცმა კლოდ სორელმა აფრიკასთან ოთხი-ხუთი ძირითადი მოთამაშის გარდა ყველა დაასვენა და სამაგიეროდ ბევრ გამოუცდელ ახალბედას უხმო.

ანტირეკორდი ალბათ არ შედგება, რაკი წამყვანი მოთამაშეები „ქურციკთა" თავკაცმა რუდი სტრაულიმაც დაასვენა და ორ ძირითადს, 202-სანტიმეტრიან მეორეხაზელ ბაკიზ ბოთას და სახენაცვლოდ...

ანტირეკორდი ალბათ არ შედგება, რაკი წამყვანი მოთამაშეები „ქურციკთა" თავკაცმა რუდი სტრაულიმაც დაასვენა და ორ ძირითადს, 202-სანტიმეტრიან მეორეხაზელ ბაკიზ ბოთას და სახენაიარევ მესამეხაზელ ჯონ ფან ნიკერკს სათადარიგოები შემოუწყო.

ქართველები „ოზის" სტადიონზე მეტოქეებში ალბათ არაერთ სახეს ამოიცნობენ. მართალია, თბილისში ნამყოფი სათადარიგო „ქურციკებიდან" მხოლოდ ორნი, იგივ ბოთა და ფან ნიკერკი დამკვიდრდნენ ქვეყნის პირველ 15-ეულში, თუმცა, როგორც გითხარით, დღეს მეტოქე მეორე გუნდით გვეთამაშება და მათგან კიდევ ოთხი „თბილისელია".

თუმც ასეც და ისეც, საქართველოს ნაკრები დიდსხვაობიანი მარცხისთვის განწირულია. ცხადია, ბორჯღალოსნებიც არ ფიქრობენ სასწაულზე. ვისილ კაცაძე, ამ მატჩში ბორჯღალოსანთა კაპიტანი „როიტერს" ეუბნება — „მათი გუნდი დიდი და გამოცდილი მოთამაშეებისგან შედგება. სამხრეთ აფრიკას ცუდი წელიწადი ჰქონდა, მაგრამ მის წინააღმდეგ მაინც ძალზე ძნელია ბრძოლა."

სამხრეთ აფრიკა კი უკვე ამ თამაშის მიღმა იყურება, რუდი სტრაულის ჯერაც არ ჩამოუყალიბებია ჯგუფში ბოლო მეტოქესთან, სამოასთან სათამაშო ოპტიმალური 15-ეული. თუმც ერთი კი ცხადია, ინგლისთან ჩაფლავებული მე-10 ნომრის ლუის კუნისთან ერთად „მომავლის ქურციკებისთვის" კიდევ ერთ ახალგაზრდას, დერიკ ჰუგაარდს შეიგულებს და ვინძლო ამ უკანასკნელსაც უფრო ხშირად მისცეს თავის გამოჩენის შანსი.

**ირაკლი ფირაშვილი**



ბორჯღალოსანთა დღევანდელი მეტოქე რიკარდო ლუბშერი ორი წლის წინ თბილისში „ლოკომოტივზე" სამხრეთ აფრიკის „ა" ნაკრებს კაპიტნობდა

### მსოფლიოს თასის მიჯნულები

50 — ფედერიკ მიშალაკი (საფრანგეთი)
44 — ელტონ ფლეტლი (ავსტრალია)
36 — ჯონი უილკინსონი (ინგლისი)
35 — დენიელ კარტერი (ახ. ზელანდია); რიმა ვაკარუა (იტალია); ნიკი ლიტლი (ფიჯი)
34 — კრის პატერსონი (შოტლანდია)
27 — ერლ ვაა (სამოა)
23 — მაიკ ჰერკუსი
21 — გონსალო კესადა (არგენტინა)
20 — პაბლო ბოუსა (არგენტინა); მარტინ გაიტანი (არგენტინა); მილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
19 — ტორუ კურიჰარა (იაპონია)
18 — დევიდ ჰემფრიზი (ირლანდია)
16 — ხუან ფერნანდეს მირანდა (არგენტინა); იესტინ ჰარისი (უელსი); ლუის კუნი (ს. აფრიკა); რონან ოგარა (ირლანდია)
15 — ჯარედ ბარკერი (კანადა); საიმონ დენიელი (შოტლანდია); კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი); უილ გრინვუდი (ინგლისი); დენის ჰიკი (ირლანდია); იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი); ბრაიან ლიმა (სამოა); მეტ როჯერსი (ავსტრალია); იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (ს. აფრიკა)
14 — სტივენ ჯონსი (უელსი)
13 — კარლოს სპენსერი (ახ. ზელანდია); ენდრიუ მილერი (იაპონია)
12 — პალიკო ჯიმშელაძე (საქართველო)
11 — იონუც ტოფანი (რუმინეთი)

### მელოლოვები

4 — პაბლო ბოუსა (არგენტინა); მარტინ გაიტანი (არგენტინა); მილს მულიაინა (ახ. ზელანდია)
3 -- საიმონ დანიელი (შოტლანდია); კრისტოფ დომინისი (საფრანგეთი); უილ გრინვუდი (ინგლისი); დენის ჰიკი (ირლანდია); იანიკ ჟოზიონი (საფრანგეთი); ბრაიან ლიმა (სამოა); კრის პატერსონი (შოტლანდია); მეტ როჯერსი (ავსტრალია); იუსტ ფან დერ ვესტჰოიზენი (ს. აფრიკა)



გაიაპონელებულმა ახალზელანდიელმა ენდრიუ მილერმა იაპონიას ნამუსი მოსწმინდა

23 ოქტომბერი. თაუნსვილი

### ფიჯი 41:13 იაპონია

ფიჯი: ლიგაირი, ტუილევუ, რუივარდა (ვუნიბაკა), რაბენი, დელასაუ, სერევი (ლიტლი), რაბაკა (რაულუნი); დოვივერატა (კაპ), სევაბუ, მოსელუტუ (კოიამაიბოლე), ლევავერე (მაიმური), კატალაუ, სერუ (ვეიტაიაკი), სმიტი (გადოლო), რასილა
5 ლ: ლიგაირი (2), ტუილევუ (2), ვუნიბაკა; 2 გ: ლიტლი; 4 ს: სერევი, ლიტლი (3)
იაპონია: მაცუდა (კურიჰარა), ოჰატა, პარკინსონი, მოტოკი, ონოზავა (კონია), მილერი, ცუჯი (სონოდა); იტო (ასანო), მიუჩი, ოკუბო, კისო, პარკერი (მაინო), ტოიოიამა, საკატა (ამინო), იამამოტო (ჰასეგავა)
1 ლ: მილერი; 1 გ: მილერი; 1 ს: მილერი; 1 ა: მილერი

# სტეფანიამ პორტლენდი იპოვა




*გვარიანი ლოდინისა და ნერვიულობის შემდეგ, ვლადიმერ სტეფანიამ, როგორც იქნა, მონახა სასურველი კლუბი — „მაიამის" ყოფილმა ქართველმა ცენტრმა გუშინწინ „პორტლენდთან" ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ეს მოხდა „პორტლენდ" — „დენვერის" სავამოფენო მატჩის შესვენებაზე „როუზ გარდენის" ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში. გუშინ კი სტეფანიას ფინიქსში სასტუმროში დავუკავშირდით, სადაც „პორტლენდი" მორიგი სავამოფენო მატჩის გასამართად ჩავიდა...*

**— გილოცავ ვოვა, კმაყოფილი იქნები...**

— ამ ეტაპზე კმაყოფილი ვარ, ერთ კვირაში სეზონი იწყება და ჯერაც უგუნდოდ ვიყავი.

**— დავუშვათ, ერთი თვის წინ შემოეთავაზებინათ, არ დათანხმდებოდი ამ კონტრაქტს?**

— ალბათ არა, რადგან აგვისტოში ამაზე ძვირ და ხანმოკლე ხელშეკრულებაზე ვუთხარი მაიამელებს უარი.

**— „პორტლენდთან" გაფორმებულ ხელშეკრულებაზე რას გვეტყვი?**

— ორწლიანია და ამ ხნის განმავლობაში ორ მილიონზე ცოტა მეტს გადამიხდიან. ვფიქრობ, უფრო მეტს ვიმსახურებდი, მაგრამ ამ ეტაპზე უარს ვერ ვიტყოდი, რადგან სეზონი რომ დაიწყებოდა, მერე არც ამდენს მომცემდა ვინმე. მაგრამ ახლა ამაზე აღარ ვფიქრობ, უკვე „პორტლენდის" წევრი ვარ და ფორმის აღდგენა მმართებს.

**— „პორტლენდში" შენს გადასვლაზე ადრეც იყო საუბარი, მაგრამ ეს ტრანსფერი ახლაღა განხორციელდა. როგორ მოხერხდა ეს საქმე, შენი მენეჯერი მარკ ფლეიშერი დაგეხმარა?**

— ფლეიშერი თითქმის არაფერში დამხმარებია, „პორტლენდის" ვარიანტი თავად გამოვნახე. აქ ერთ-ერთ მწვრთნელს ვიცნობ, რომელიც შარშან „პორტლენდის" ქალთა გუნდს თავკაცობდა, სიეტლში გავიცანი. მისი რეკომენდაციით პორტლენდელები ჩემით დაინტერესდნენ და თითქმის ყველას უნდოდა, გუნდში ავეყვანე. მაგრამ ერთი დიდი პრობლემა არსებობდა, „პორტლენდის" პრეზიდენტს ჯონ ველშს გულზე არ ვეხატები. ის „ნიუ ჯერსის" პრეზიდენტობდა მაშინ, როცა მე ამ გუნდში ვთამაშობდი. ორი წლის წინ ველშთან უთანხმოება მომივიდა და ახლა იგი სასტიკი წინააღმდეგი იყო, „პორტლენდში" ავეყვანე.

**— ცოტა უცნაურია, პრეზიდენტს არ უნდოდი და გუნდში მაინც აგიყვანეს...**

— „პორტლენდის" მწვრთნელებმა ველში ფაქტის წინაშე დააყენეს, სეზონი იწყება, ჩვენ კი ხეირიანი ცენტრი გვჭირდებაო. ყველას მოვწონდი, ჩემზე უკეთესი კანდიდატურა პორტლენდელებს არ ჰყავდათ და საბოლოოდ ველშიც დაითანხმეს, მაგრამ ამ კაცმა მაინც არ გამიფორმა ისეთი კონტრაქტი, თავიდან რომ დამპირდნენ პორტლენდელები.

**— არადა, ორეგონულმა პრესამ დაწერა, კვირას სტეფანიამ უარი უთხრა პორტლენდელებს კონტრაქტზეო...**

— ჰო, ეგრე იყო, პირველად უარი ვთქვი. პორტლენდელებმა თავიდან რომ დამირეკეს, სამ მილიონზე შემითანხმდნენ, ჩამოდი, გაძლევთო ამ თანხას. გუნდში მისულს კი ველშმა მითხრა, 2,2 მილიონზე მეტს ველარ მოგცემო, საკუთარი ნებით ჩამოაჭრა რამდენიმე ასეული ათასი. მეც თავი დავიფასე და სიეტლში გავბრუნდი, მაგრამ შემდეგ ყველაფერი ავწონ-დავწონე, უკეთესი პერსპექტივა ვერ დავინახე და პორტლენდელებს [illegible] შევეხმიანე.

**— როგორ ფიქრობ, შენ რომ პირვანდელი სიტყვა არ გადაგეთქვა, პორტლენდელები მეტ თანხას არ შემოგთავაზებდნენ?**

— არ ვიცი, ისე კი, ბოსტონელი ცენტრის, ტონი ბათის გადმოყვანას აპირებდნენ, მაგრამ ამ კალათბურთელს მინიმუმ 5 მილიონი უნდოდა, პორტლენდელებს კი მხოლოდ 3 მილიონი ჰქონდათ თავისუფალი.

**— შენი ხორვატიული კონტრაქტის ამბავი როგორღა იქნება, საკომპენსაციო თანხას მიიღებს „სპლიტი" თუ ეს ფული შენ გერგება?**

— ეს არალეგალური ფულია, ჩახლართული გარიგებაა, მაგრამ მე არაფერს მავნებს. „პორტლენდი" გარკვეულ თანხას გამოუყოფს „სპლიტს" საკომპენსაციოდ, რომლითაც ათასგვარ დავალიანებებსა და გადასახადებს დავფარავთ მე და მარკ ფლეიშერი.

**— კონტრაქტის გაფორმების ცერემონიალი თუ მოეწყო?**

— „პორტლენდი" — „დენვერის" მატჩის შესვენებაზე ათწუთიანი პრესკონფერენცია მოაწყვეს და კონტრაქტსაც იქ მოვაწერე ხელი. მაისურიც ავირჩიე უკვე, არვიდას საბონისის 11-ნომრიანით ვითამაშებ.

**— მერე რას ფიქრობ, ამ მაისურის აქამდელი მფლობელივით თუ ითამაშებ?**

— ახლა ძალიან ცუდ ფორმაში ვარ. თითქმის სამი თვეა, წესიერად არ მძინებია, ძლიერი სტრესები გადავიტანე, სანამ ახალ კლუბს მოვნახავდი. ახლა მთელი ძალით მოვემზადები და სამიოდ კვირაში ჩვეულ სათამაშო ფორმას დავიბრუნებ. ჯერ არაფრის თქმა არ შემიძლია, მხოლოდ ის ვიცი, რომ ჩემი კონკურენტები იქნებიან დეილ დევისი და რუბენ ბუმტიე-ბუმტიე, ამათზე ნაკლებ ცენტრად კი თავს ნამდვილად არ მივიჩნევ.

**ირაკლი პერტაია**

# პო ორტეზს პროფესიონალი მდივანი სჭირდება

*ამ დღეებში გიორგი მდივანი სრულწლოვანი გახდა, მაგრამ ფრანგულ „პო ორტეზთან" პროფესიული კონტრაქტი ჯერაც არ გაუფორმებია. ამ საქმეს წერტილი ოქტომბრის ბოლოს დაესმება, როცა ქართველ ფორვარდ-ცენტრს ფრანგულ გრანდთან ორი წლის წინ გაფორმებული სტაჟიორის კონტრაქტი დაუმთავრდება. მდივანს გუშინ პოში დავუკავშირდით და თავდაპირველად იმაზე დავეკითხეთ, თუ რატომ არ იყო „პო ორტეზის" ბოლო მატჩის განაცხადში...*

— „ბურგის" დუბლიორებთან შეხვედრაში დავშავდი. მართალია, ფეხი ძალიან არ მტკიოდა, მაგრამ მწვრთნელი მაინც მოერიდა ძირითადი გუნდების მატჩის განაცხადში ჩემს შეყვანას, მარჯვენა ფეხი ხომ ახლახან მოვიშუშე.

**— წინა სამ ტურში კი იყავი განაცხადში, მაგრამ მთლიანობაში მხოლოდ სამი წუთი ითამაშე...**

— ჯერჯერობით არ მენდობიან დიდი ხნით, დუბლიორთაგან ორი-სამი კალათბურთელი ვართ ხოლმე გუნდის განაცხადში, მაგრამ 4-5 წუთზე მეტს არავის გვათამაშებენ.

**— დუბლებში კი გუნდის ლიდერი ხარ...**

— 25-30 წუთი მიწევს ხოლმე თამაში და თანაგუნდელთაგან იშვიათად მჯობნის ვინმე. ძირითად გუნდში რომ ჯერ არ მენდობიან, ეს ბუნებრივია, ამ გუნდის გამოზრდილი ყველა ახალგაზრდა 2-3 წუთით იწყებდა კარიერას.

**— ძველ მდივანთან შედარებით გვარიანად გახდი. ამპლუა ხომ არ შეგიცვალეს ამის გამო?**

— კი, შემიცვალეს, ძირითად გუნდში თავდამსხმელის პოზიციაზე მათამაშებენ. ჩემს ტოლებში, მიუხედავად შედარებით დაბალი სიმაღლისა, ცენტრობა არ მიჭირდა, დიდებში კი ძალიან ძნელია ფარქვეშ თამაში. 5 სანტიმეტრით მაღალი რომ ვიყო...

**— ოქტომბერში ახალი, პროფესიული კონტრაქტი უნდა გაგეფორმებინა...**

— მერე ოქტომბერი ჯერ ხომ არ გასულა. თვის ბოლოს „პო ორტეზთან" ახალ და სრულყოფილ კონტრაქტს გავაფორმებ. აქამდელი ხელშეკრულებით მე სტაჟიორად ვითვლებოდი, უფლებებიც მცირე მქონდა და ხელფასიც.

**— ახალ კონტრაქტს რომ გააფორმებ, მხოლოდ ძირითად გუნდში ითამაშებ თუ დუბლიორებშიც?**

— დუბლიორებში რომ არ ვითამაშო, არ გამოვა. ამით დიდ გამოცდილებას ვიღებ, რაც ყველაზე საჭიროა ახლა ჩემთვის. როგორც გითხარი, აქ ყველა ასეა, თუნდაც „დიჟონში" გადასული ვიქტორ სანიკიძე ავიღოთ: მას ჯერ კარგა ხანი ათამაშებენ დუბლიორებში, სანამ დიდ გუნდში გადაიყვანენ. მეც ორივეგან ვითამაშებ.

**ირაკლი პერტაია**



გიორგი მდივანი წონაში იკლებს და ელის

# ვინ გადაჯდება ცხენიდან BMW-ზე

*ხვალ იპოდრომზე ცხენოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (აუშ) საშეჯიბრო კალენდარში შემავალი ტურნირი, „კავკასიის თასის" გათამაშება დაიწყება. იგი თბილისში 3 წელია იმართება და წლიდან წლამდე პოპულარულიც ხდება. 25-28 ოქტომბერს აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი მხედრები პირად და გუნდურ პირველობებში გამოავლენენ საუკეთესოებს*



**შეჯიბრის** ოფიციალური გახსნა ხვალ, 16 საათზე, მოეწყობა და პირად პირველობაში ძირითადი ცხენებით მეორე კონკურსიც დაიწყება (წინაღობათა სიმაღლე 130 სანტიმეტრამდე), მანამდე კი, 12 საათზე, მხედრები ერთმანეთს ახალგაზრდა ცხენებით გაეჯიბრებიან (წინაღობა 110 სანტიმეტრამდე). ტურნირის მეორე-მესამე დღეებიც პირად პირველობას დაეთმობა. 26 ოქტომბერს სპორტსმენები ახალგაზრდა და ძირითადი ცხენებით 120 და 130 სანტიმეტრიან წინაღობათა გადასალახად გამოვლენ, ხოლო 27-ში შემაჯამებელი შეჯიბრის, „დიდი პრიზის" გამარჯვებულის ვინაობაც გაირკვევა. იმის გამო, რომ სტუმრებმა სრული გუნდით ჩამოსვლა ვერ მოახერხეს, ორგანიზატორებმა გუნდური თასის გათამაშება გადაიფიქრეს, თუმც 28 ოქტომბერს გუნდური პირველობა მაინც შედგება და თითოეულ ნაკრებს ოთხი მონაწილე წარმოადგენს, რომელთაგან სამ-სამი უკეთესი მხედრის შედეგები შეჯამდება და გამარჯვებული გუნდის ვინაობაც გაირკვევა.

გუშინ სპორტის დეპარტამენტის დარბაზში „კავკასიის თასისადმი" მიძღვნილ პრესკონფერენციაზე საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვანო ყურუამ ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ნაკლებად პოპულარული სპორტის სახეობის ავანჩავანში უკეთ გაგვარკვია.

— „კავკასიის თასის" გათამაშებას იპოდრომი მესამედ მასპინძლობს, მაგრამ საერთაშორისო ფედერაციის დახმარებით წლეულს პირველად ვხვდებით მას გამწვანებული სარბიელით. მონაწილეობას სომხეთისა და აზერბაიჯანის 6-6 ცხენი და ამდენივე მხედარი მიიღებს, საქართველოდან კი დაახლოებით 20-მდე. შარშან და შარშანწინ თასი ჩვენ მოვიგეთ და იმედია, წლეულსაც დავიტოვებთ, თუმც ამჯერად გუნდურის გათამაშებას არ ვაპირებთ. მიუხედავად იმისა, რომ შეჯიბრი საერთაშორისო კალენდარშიც ზის და გარკვეული რეიტინგიც აქვს, ოლიმპიადის სალიცენზიო ქულათა გათამაშების უფლებამდე ჯერ კიდევ შორია. ამისთვის მსოფლიო დონის სტატუსია საჭირო. წლევანდელი ტურნირის საპრიზო ფონდი 12 ათას დოლარამდეა. ვცდილობთ, იგი ნელ-ნელა უფრო წარმომადგენლობითი გავხადოთ და სამომავლოდ იუნიორთა ან ახალგაზრდათა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლებაც მოვიპოვოთ. წლეულს პირად პირველობაში გამარჯვებულისთვის ავტომანქანა BMW დაწესდა, მეორე ადგილზე გასული ვიდეოკამერას მიიღებს, მესამეადგილოსანი ტელევიზორს. რაც შეეხება ბოლო დღეს, გუნდურში მონაწილე ქართულ შემადგენლობას, იგი ჯერ უცნობია. არჩევანს პირადში საუკეთესო მაჩვენებლის მქონე მხედრებზე გავაკეთებთ.

პრესკონფერენციის ბოლოს თავიანთი აზრი FEI-ს მიერ თბილისურ ტურნირზე მოვლენილმა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმაც გამოთქვეს.

**რაჰ შენ რადპოური** (ირანი)

— საქართველოში მეორედ ვარ და მიხარია, რომ საქართველოს ცხენოსნობის ფედერაციის მონდომებამ ნაყოფი გამოიღო. თბილისური ტურნირი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპორტის ამ სახეობის განვითარებას არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. იმედია, შეჯიბრი უმაღლეს დონეზე იქნება ორგანიზებული, რაც ხელს შეუწყობს მომავალში უფრო წარმომადგენლობითი გახდეს.

**ვერნერ დიიგი** (გერმანია)

— „კავკასიის თასზე" კურსდიზაინერად ვარ მოვლენილი და მოედნის მდგომარეობით კმაყოფილი დავრჩი. მინდვრის საფარი და წინაღობები ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს. ახლა მთავარი მასმედიის და, რაც მთავარია, მაყურებლის მხარდაჭერაა.

**ოთარ გალლაძელიძე**

**საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული კლუბი „დინამო" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჭადრაკში**

**გიორგი ფამილიანტი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**



NHL

## რეგულარული ჩემპიონატი

# ბრედ ჰალმა წაიდიდკაცა

## 717-ის პატრონი ყველას ხომ არ დაელაპარაკება?!

— 22 ოქტომბერი —

**დეტროიტი 4:1 კოლუმბუსი**

*0:0 2:1 2:0*

1:0 ჰალი (26), 2:0 დაციუკი (26), 2:1 ნეში (37), 3:1 ჰოლმსტრიომი (47), 4:1 უიტნი (50)

ბრეტ ჰალის სეზონის პირველივე შაიბა ისტორიული გამოდგა. „ოქროს ბრეტისთვის" ეს 717-ე გოლი გახლდათ, რითაც ლიგის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში მე-4 ადგილზე მყოფ ლეგენდარულ ფილ ესპოზიტოს გაუტოლდა. წინ მხოლოდ უეინ გრეცკი (894), გორდი ჰოუ (801) და მარსელ დიონი (731) არიან. აღსანიშნავია, რომ ყოველთვის ენაწყლიანმა და ენამოსწრებულმა ჰალმა მატჩის შემდეგ ჟურნალისტებთან საუბარი არ ისურვა და მხოლოდ ლეგენდარულ გორდი ჰოუს დაელაპარაკა. „მისტერ ჰოკეი" საგანგებოდ დაესწრო თამაშს თავის ვაჟიშვილ მარკთან ერთად.

**პიტსბურგი 1:1 კაროლინა**

*1:0 0:1 0:0 0:0*

1:0 მოროზოვი (20), 1:1 ფრენსისი (33)

სამი ქულაც და მარიო ლემიე 1700-ქულიან ზღვარს უწევს, თუმც მატჩის მთავარი გმირი არც მარიო გამხდარა თავისი მორიგი პასის გამო და არც მასთან ერთად 90-იანების დასაწყისში პიტსბურგში მოთამაშე უბერებელი რონ ფრენსისი, რომელმაც ამ თამაშში შეაგდო. ორივე ვეტერანი პიტსბურგის 18 წლის მეკარემ ანდრე ფლერიმ დაჩრდილა. 2003 წლის დრაფტის №1-მა 35 დარტყმა მოიგერია.

**ანაჰაიმი 4:3 ფილადელფია**

*2:2 1:0 0:1 1:0*

1:0 ფიოდოროვი (3), 2:0 პროსპალი (6), 2:1 შუინარი (10), 2:2 რენიკი (15), 3:2 სიკორა (32), 3:3 ამონტე (60), 4:3 ნიდერმაიერი (62)

**ნიუ ჯერსი 1:2 ფლორიდა**

*0:0 0:0 1:2*

1:0 ლანგენბრუნერი (46), 1:1 ბოუმისტერი (55), 1:2 იოკინენი (56)

**დალასი 1:3 ტორონტო**

*1:0 0:1 0:2*

1:0 მოდანო (7), 1:1 პონიკაროვსკი (33), 1:2 ნუინდაიკი (54), 1:3 რაიხელი (60)

**ვანკუვერი 3:2 სენტ ლუისი**

*1:1 0:1 2:0*

1:0 სოპელი (8), 1:1 ბეკმანი (9), 1:2 დუმიტრა (29), 2:2 ოლუნდი (51), 3:2 კინგი (60)



REUTERS

ნიუჯერსელი ჯეფ ფრიზენი ფლორიდელი რობერტო ლუონგოს კარს უტევს

| აღმოსავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| აილენდერსი | 5 | 3 | 1 | 0 | 1 | 16:11 | 7 |
| ფილადელფია | 6 | 2 | 2 | 1 | 1 | 13:15 | 7 |
| ნიუ ჯერსი | 5 | 1 | 2 | 0 | 2 | 10:11 | 4 |
| პიტსბურგი | 5 | 1 | 2 | 0 | 2 | 9:14 | 4 |
| რეინჯერსი | 5 | 1 | 2 | 0 | 2 | 8:13 | 4 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ბოსტონი | 7 | 4 | 2 | 0 | 1 | 19:16 | 10 |
| მონრეალი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 17:9 | 8 |
| ოტავა | 5 | 3 | 0 | 1 | 1 | 17:10 | 7 |
| ტორონტო | 6 | 2 | 2 | 0 | 2 | 10:14 | 6 |
| ბუფალო | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 8:21 | 4 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ატლანტა | 6 | 3 | 2 | 1 | 0 | 17:11 | 9 |
| ტამპა | 4 | 4 | 0 | 0 | 0 | 16:6 | 8 |
| ფლორიდა | 7 | 2 | 2 | 0 | 3 | 11:12 | 6 |
| ვაშინგტონი | 6 | 1 | 1 | 0 | 4 | 15:20 | 3 |
| კაროლინა | 5 | 0 | 3 | 0 | 2 | 7:10 | 3 |

| დასავლეთ კონფერენცია | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 17:13 | 8 |
| სენტ ლუისი | 6 | 3 | 0 | 1 | 2 | 16:15 | 7 |
| ნეშვილი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 12:10 | 6 |
| კოლუმბუსი | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 14:12 | 6 |
| ჩიკაგო | 6 | 2 | 0 | 0 | 4 | 9:19 | 4 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | | |
| ვანკუვერი | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 22:12 | 9 |
| კალგარი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 8:10 | 6 |
| ედმონტონი | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 19:16 | 6 |
| კოლორადო | 5 | 2 | 0 | 0 | 3 | 15:14 | 4 |
| მინესოტა | 7 | 1 | 1 | 0 | 5 | 14:20 | 3 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ლოს ანჯელესი | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 20:12 | 8 |
| დალასი | 7 | 4 | 0 | 0 | 3 | 18:14 | 8 |
| ფინიქსი | 5 | 3 | 0 | 0 | 2 | 11:12 | 6 |
| ანაჰაიმი | 7 | 2 | 0 | 1 | 4 | 11:19 | 5 |
| სან ხოსე | 6 | 1 | 1 | 0 | 4 | 8:16 | 3 |

## გოლის გამტანებიც დააფასეს

**აქამდე** კვირის მოთამაშეებად უფრო ხშირად მეკარეები ხდებოდნენ. ეტყობა, ნჰლ-ის მესვეურები დაფიქრდნენ ამაზე და ამ სეზონიდან ახალი წესი შემოიღეს — ამიერიდან კვირაში ორ ლაურეატს აირჩევენ. ერთი საუკეთესო შემტევი იქნება, მეორე საუკეთესო დამცველი. ახლა გული არც ფორვარდებს დასწყდებათ და არც მეკარეებს ჩაეყრებათ შრომა წყალში. პირველი ლაურეატები კი „ატლანტის" ფორვარდი ილია კოვალჩუკი და „აილენდერსის" მეკარე რიკ დიპიეტრო გახდნენ. რუსმა დანი ჰიტლის არყოფნაში მთლიანად იტვირთა ლიდერობა და ხუთ თამაშში 5 გოლი და 2 პასი მიითვალა, დიპიეტრომ კი სამ თამაშში მხოლოდ 3 შაიბა გაუშვა და მისი დახმარებით ნიუიორკელებმა ორჯერ მოიგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS სოლდენიდან




# კიეტილდაფშვნილი

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ, ნორვეგიელ კიეტილ ანდრე აამოდტს იმ დღეს ისეთი ტრავმა მიუღია, მტერს და აჯს. ამბავი აღმოსავლეთ ავსტრიაში, სიოლდენურ სასრიალოზე მომხდარა, სადაც კიეტილი მომავალი საზამთრო-სამთო სეზონისთვის ემზადებოდა.

REUTERS კანბერიდან



# ჯონი და ჯორჯი

კანბერას სწვევია პლანეტის მთავარკაცი ჯორჯ დუბლიუ. ოზებსაც მისთვის თავიანთი ლეგენდა დაუხვედრებიათ — ჩასპანდი მორაგბე ჯონ ილზი, ვინაც აშშ-ის პრეზიდენტს „ვოლაბთა" სვიანად ნაოფლარი მაისურა უფეშქაშა.

REUTERS ლოს ანჯელესიდან



# ნე ზაბუდუ მატ რადნუიუ

„ლოს ანჯელეს ლეიკერსი" იმ დღეს წინასასეზონოდ ელლაბუცა „ფინიქს სანზს". შაკილ ონილს არ უთამაშია — ოფლისღვრის ნაცვლად იქაურ ბიჭებს თავის სვირინგებს აჩვენებდა, აქაოდა, ნახეთ, როგორ მახატიაო.

REUTERS სიდნეიდან



# ჭიპხახუნა

არგენტინამ 50:3 შემუსრა რუმინელთა ნაკრები ავსტრალიაში მიმდინარე მსოფლიოს სარაგბო თასზე. ეს ფოტოები იმ მატჩისას არის გადაღებული — ამ ჭყინტ გოგოს, ღიმილოსან დაქალს რომ გადაფარებია, ხელუხლებ ჭიპზე არგენტინელთა თიკუნი, „პუმები" გამოუწერია, ეს ორი გაფერადებული ტიპი კი თავიანთ ეროვნულ ფერებს წარმოადგენს, იქითა არგენტინელია, აქეთა კი რუმინელი.

REUTERS სიდნეიდან




სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge